გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№324 (383) 14-21 ივლისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

რეალობიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელობა და ზედაპირული განათლება — აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია, საგრძნობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა.

გვ.2

## თამარ კიკნაძე: უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია

...ერთქესიანთა ქორწინების ძირითადი მიზანი ადამიანთა გამრავლებაზე კონტროლის მოპოვებაა...

დღეს ქვეყნების სუვერენიტეტის დონე სულ უფრო მცირდება. უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი შეზღუდულია. საქართველომ ევროასოცირებას მოაწერა ხელი და ეს ჩვენი ხელისუფლების არჩევანი იყო. მაგრამ ევროკავშირი პრობლემების წინაშე დგას და მის ერთიანობასაც საფრთხე ემუქრება.

გვ.3

## “კიევური მაიდნის” საფრთხე ერევანში



სომხეთის “რევოლუციას” უკვე აქვს “მხარდაჭერა” უკრაინაში, თბილისში, აზერბაიჯანსა და თურქეთში. ცხადია, რომ საუბარი მიმდინარეობს შეკვეთაზე. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, მაგალითად, სომხეთის გენოციდის ფაქტებით თურქეთი ან აზერბაიჯანი ასე შეშფოთებულიყვნენ. არ მახსოვს, რომ კიევში, სადაც ელექტროენერგიის საფასური ორჯერ გაიზარდა, ვინმე გამოსულიყო ქუჩაში და ეს გაეპროტესტებინა. ანუ, ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს გარედან მომდინარე შეკვეთასთან და ბაქო-თბილისი-სტამბოლი-კიევში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ამ შეკვეთის შედეგია.

გვ. 8-9

## კიდევ ერთხელ ევროამერიკულ (უ)ზნეობაზე

თუ 80-მილიონიან გერმანიას 10 მილიონი ჰომოსექსუალი თუ რელიგიურად უზნეო პერსონა ვერაფერს დააკლებს, მცირერიცხოვანი საქართველოსათვის 100 გადაგვარებულიც კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

გვ.9

## სოდომია ვაშინგტონის დიადი გამარჯვება

...თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამლელნი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით დაიხოცნენ...

გვ.11






## “თოლი მიყიყანა ქართშენო...

„თოლი მიყიყანა ქართშენო,
დუც მიკობდვანთუ ძალო,
მის მუშო ვოკოთ ხორცო დო,
მის მუშო ვოკოთ ძვალო”?!.

გვ.5

შუკო ჯიქია



## აფხაზეთის ვეტერანებთან შეხვედრა

უკეთესია მთავრობამ შეიგნოს, რომ კარგად იყოს ყველასთან (ნუ გამოყოფს) — ამერიკასთან, ევროპასთან, რუსეთთან — როგორც ამას სხვები ახერხებენ და აკეთონ ქართული საქმე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ეს მთავრობა ამას გააკეთებს და ქართველი ხალხი და საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც შვებით ამოისუნთქავენ და ლაღად, თავისუფლად ივლიან ქართულ მიწაზე.

გვ.3

# რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

**აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა 2005 წელს**

რეალობიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელობა და ზედაპირული განათლება – აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია, საგრძნობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა. ქვეყნის რეალური განვითარება მხოლოდ სტრატეგიის საფუძველზე ხდება, ხოლო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭიროა სიღრმისეული ცოდნა, თაობათა გამოცდილების გათვალისწინება, ქვეყნისა და ერის ადგილის, როლის, ისტორიული დანიშნულების გაცნობიერება. ახლახან ვუსმენდი ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშს ქვეყნის არსებობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და უნებლიეთ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიღაც სხვა ქვეყანაზე, სხვა ეკონომიკაზე, სხვა სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ხელმძღვანელზე, რომლებიც ტელევიზორის ეკრანებიდან თავისი დარგის **„არნახულ წარმატებებზე“** მოგვითხრობენ. ასე ცრუობდა მრავალი წლის განმავლობაში შევარდნაძე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

ყოველთვის ვცდილობ, აღვნიშნო დადებითი მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში. მუდამ მაღიზიანებდა ყველა ჯურის ოპოზიციონერის სწრაფვა, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მავნე დაენახათ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი ვცდილობდი, გარკვეულ პროცესებში პოზიტივი დამენახა, რადგან ხშირად ოპოზიციის სწრაფვას, კატეგორიულად უარყოს ხელისუფლების საქმიანობა, იქამდე მივყავართ, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად იქცევა. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, დღეს მართლაც არის პოზიტიური მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში, რასაც მივესალმები. საკმარისია, თბილისის, ბათუმის შეცვლილ იერს შეხედო, გზების მშენებლობას, კორუფციასთან ბრძოლას ქვედა და საშუალო დონეზე და სხვ. მაგრამ ყველა ეს მოვლენა კოსმეტიკური ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ვერ ცვლის შევარდნაძის დროს დამკვიდრებულ ქვეყნის განვითარების დამღუპველ ვექტორს. დღემდე არ არსებობს ეკონომიკური განვითარების ერთიანი მოდელი, რაც ქვეყანას ეკონომიკური ჩიხიდან გამოიყვანდა. და მთავარი – ხელისუფლების ქმედება არანაირად არ გვაახლოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტასთან. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებისა და თანამედროვე ეკონომიკური ბაზის ფორმირების გარეშე კი საქართველოს მომავალი არ აქვს.

**– ცნობილია, რომ მეორე ევროპულ ფორუმზე მოსკოვში თქვენ – მონაწილეთაგან ერთადერთი – ე. წ. კონფლიქტების მოგვარების კოსოვოს სქემის წინააღმდეგ გამოხვედით. რატომ?**

– კოსოვოს სქემა სერბეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსული მუსლიმების დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. კოსოვო სერბული მართლმადიდებლური კულტურის აკვანია, სერბი ერის გულია. იქ ეთნიკურად და რელიგიურად უცხო ხალხი დასახლდა, რომელსაც იქვე, გვერდით, საკუთარი სახელმწიფო აქვს, ამერიკელების დახმარებით სერბი მოსახლეობა განდევნა, 200-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრია და ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას მოითხოვს. არ შემიძლია ამ მოთხოვნას დავუჭირო მხარი, პირველყოვლისა იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, იმიტომ, რომ სერბი და ქართველი ხალხები სულიერი ძმები არიან.

ჩვენ ისედაც სამარცხვინო, მოუშორებელი ლაქა გვადევს: შევარდნაძე იყო პირველი სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ნატო-ს ავიაციის მიერ სერბეთის დაბომბვას, რასაც ასობით უდანაშაულო ადამიანი, ათობით ეკლესია და მონასტერი შეეწირა. ხოლო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ დაგმო ამის გამო ედუარდ-გიორგი, ანათემას არ გადასცა იგი.

მეორეს მხრივ, „კოსოვოს სქემის“ უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას. მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხოტომელებით არის დასახლებული. „კოსოვოს სქემა“ სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპელ მოღვაწეთაგან არაერთი მწვავე შეფასება მომისმენია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ «კოსოვოს სქემის» უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს – მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ქმნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში.

მათ მილიონობით აღმოსავლეთევროპელ მიგრანტთან საკუთარი შრომის ბაზრის გაყოფა მოუწევთ. ამიტომ ევროკავშირის ძირითადი წევრები ყველა ახალი პრეტენდენტისთვის კარის დასაკეტად მზადყოფნას გამოხატავს. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრაქტიკულად, 10-15 წლით გადაიდო და, ალბათ, არასდროს მოხდება, სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა ნატო-შიც. ევროპელებს მკაფიოდ ესმით, რომ ნატო ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის ინსტრუმენტია. ნატო-ს გაფართოება, არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გაფართოებას ნიშნავს, ევროპა კი იძულებულია, ამის საფასური იხადოს, ამიტომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ნატო-ს გაფართოების პერსპექტივისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ჩართვას „ინტენსიური დიალოგის“ პროგრამაშიც კი, ანუ ნატო-სთან ურთიერთობაში საქართველოს ახალ საფეხურზე გადასვლას.

**– მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა მალე ნატო-ში შესვლას გვპირდება...**

– ამ დაპირებას, მრავალი წელია, ვისმენთ. ევროკავშირსაც გვპირდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს აღარ ახსენებენ: მეტისმეტად სასაცილოდ ჟღერს. რაც შეეხება ნატო-ს, ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ რეალური სურათი. ევროპა არ იწვის ნატო-ს გაფართოებისა და ამით, ფაქტობრივად, ამერიკელთა ინტერესების მომსახურების სურვილით. გარდა ამისა, ევროპა არ არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიძულოს ევროპა, ეს ნაბიჯი გადადგას. საქართველოს ნატო-ში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებული ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შეუქმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას. მაგრამ ნატო-ს ევროპელი წევრები, კიდეც რომ დაეთანხმონ ამერიკისა და თურქეთის მოთხოვნას, ყოველ მიზეზგარეშე წამოაყენებენ უმთავრეს მოთხოვნას – ნატო-ს წესდების მკაცრ დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნატო-ს წევრ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

აშშ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა, დაჟინებით მოითხოვს ჩვენი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელია ამ პროცესში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე. რუსეთი კი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩვენთვის დაბრუნება ამ ტერიტორიის ნატო-ს კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა არ იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, არ განათავსოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები. ნატო-ს კატეგორიული წინააღმდეგია, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

რა და რისთვის უნდათ ამერიკელებს საქართველო? ამერიკას სჭირდება ნატო-ს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგება იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც – მთლიანად აკონტროლოს ნავთობ და გაზსადენები; მესამე + ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქები აკონტროლებენ. ამ ამოცანების გადასაჭრელად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის.

ამიტომ ძალიან მაწუხებს, თუ როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა ნატო-ში შესვლის საკითხის მოგვარებას, უფრო სწორად, რა პირობებს უკარნახებს მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ძალიან მაფიქრებს, რომ სოხუმში ყოფნისას აშშ-ის ელჩმა ტეფტმა მოიწონა და პროგრესული უწოდა კონფლიქტის მოგვარების აფხაზურ გეგმას, რომელიც შემდეგ თბილისში სერგეი შამბამ ჩამოიტანა. გეგმის პირველივე პუნქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს. მაშ, ვისთვის არის ეს გეგმა პროგრესული? არ გამიკვირდება, თუ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ გოგო-ბიჭები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ე. წ. დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიწყებენ „რუსთავი2“-ის ეთერში გამოსვლებს ნატო-ში ნებისმიერ, თუნდაც სადავო ტერიტორიებზე დროებით უარის თქმის, ფასად შესვლის შესახებ, რომელთაც შემდეგ ნატო აუცილებლად დაგვიბრუნებს. წლის ბოლოსთვის კოსოვოს პრობლემაც ამერიკული სცენარით გადაწყდება. ასე რომ, „მსოფლიო თანამეგობრობა“ ტერიტორიული დავის „ცივილიზებული გადაწყვეტის“ რეალურ პრეცედენტზე ლაპარაკს შეძლებს. ქართველი დემოკრატები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ცივილიზებულნი არიან...

ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში. არსებობენ ძალიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა გაიყოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. მეც და ჩემი ბევრი მეგობარი ვცდილობთ, დავარწმუნოთ რუსი პოლიტიკოსები, რომ აფხაზეთის მოწყვეტა დანარჩენი საქართველოსგან ვერ გადაწყვეტს რუსეთის სამხრეთის სტრატეგიული უსაფრთხოების პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების გახშირებული კონტაქტები აფხაზეთთან, პირდაპირი მიმოსვლის აქტივიზაციის სურვილი მეტყველებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესზე ამ რეგიონის მიმართ. უეჭველია ისიც, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი სერიოზულ სტიმულად იქცევა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების პროცესისთვის ამ რეგიონის შემდგომი სეპარატიზაციის მიმართულებით, რაც, დიდი ხანია, თურქეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სტრატეგიულ გეგმებში შედის. მაგრამ ყველა ეს არგუმენტი – ნატო-სკენ სწრაფვასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მანიაკალური განცხადებების ფონზე – ყოველგვარ ძალასა და დამაჯერებლობას კარგავს. თუ რუსეთი და შეერთებული შტატები საქართველოს გაყოფაზე მოილაპარაკებენ, ეს დიდი უბედურება იქნება.

**– სააკაშვილისა და პუტინის პეტერბურგში შემდგარმა შეხვედრამ ვერანაირად ვერ იმოქმედა რუსულ-ქართული ურთიერთობების ხასიათზე?**

– ვერ იმოქმედა და ვერც იმოქმედებდა. მაოცებს, როგორ შეიძლებოდა ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა. შეხვედრა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. ასეთი რამ იშვიათია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა პრაქტიკაში. მე ვიცი, რომ საქართველოს საელჩო რუსეთში, დიპლომატიური სამუშაოს გარდა, ყველაფრით არის დაკავებული, მაგრამ გაუგებარია, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ნათელია, რომ სერიოზული შეთანხმებისთვის ბაზად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საქართველოს თანხმობა, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულებაში ჩაიდოს ქართული მხარის ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო კონტინგენტები არ განთავსდება. ამგვარი საერთაშორისო ვალდებულების გარეშე აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა ვერ მოგვარდება. ისიც ნათელია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე ვერ წავა, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ამერიკული კომპეტენციის საკითხია. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ საქართველო ფორმალური დამოუკიდებლობის 15 წლის თავზეც ვერ გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტი, მაგრამ ეს ფაქტია და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი თანამშრომლობის გარკვეული საკითხები (ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, პუტინის თანხმობა საქართველოში სტუმრობაზე და სხვ.) წარმატებით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ვიზიტის სათანადო მომზადებისა და სხვადასხვა დონის მხარდაჭერის ამოქმედების შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების რეალური პოლიტიკა პრიმიტიული პიარაქციების დონეზეა დასული, რაც, ცხადია, ქვეყნისთვის დამღუპველია. თუმცა ბუტაფორია საქმიანობის ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა.

**– როგორ მოგეწონათ სამხედრო აღლუმი?**

– მე მახსოვს სამარცხვინო აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ გამართა და იმის შემდეგ აღლუმებს აღარ ვუყურებ. რა ეაღლუმება ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიის მესამედი დაკარგული აქვს? არმიის ძალა მწყობრ ნაბიჯში და საბრძოლო შეძახილებში კი არ არის, არამედ მის უნარში – უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და უსაფრთხოება.

**– ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით. როგორ ფიქრობთ, თუ ეს არ მოხდა, გადადგება?**

– მახსოვს, აფხაზეთში გაგანია ომისას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა იფიცებოდა, ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო.

რაც შეეხება ჯარს, პრობლემა გაცილებით ღრმა და არსებითია, ვიდრე ბუტაფორული აღლუმების ჩატარება. ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა საჭიროა არმია და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს იგი. დღეს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, 200 მილიონ ევროს, ანუ თითქმის 500 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა ღატაკი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს პარალიზებული ეკონომიკა და უმუშევრობის კოლოსალური დონე. ამის «დაშვება» კიდევ შეიძლება, დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანა რომ იყოს, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობების პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული? მეტიც, საქართველოს ვერასოდეს ეყოლება არმია, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს შეერკინება, როგორიც რუსეთია. მე მგონი, ეს ცხადია. გარდა ამისა, აშშ, ნატო, ევროპული სტრუქტურები კატეგორიულად გამორიცხავენ ჩვენი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაწყვეტას. თუმცა, ამავე დროს, ქართული არმიის მშენებლობასა და წვრთნას აფინანსებენ. რაში სჭირდება ნატო-ს ქართველი ჯარისკაცი? ბუნებრივია, ეს ნატო-ს არ სჭირდება, მაგრამ ერთი ქართული ბატალიონის ერაყში გაგზავნა ამერიკელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარის ეკონომიას აძლევს, ანუ საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა და შენახვა მათ 300 მილიონი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდებოდათ. სხვათა შორის, ჩვენს ჯარისკაცებს საყარაულო ფუნქციისთვის წვრთნიან. დღეს ერაყში 852 ქართველი სამხედროა. იაპონელებმა კი ამ დღეებში ერაყიდან საკუთარი კონტინგენტის გაყვანის შესახებ განაცხადეს. ბუნებრივია, ამერიკელებს ხელს აძლევს საკუთარი მიზნებისთვის სხვისი, მით უფრო, იაფი ჯარისკაცების გამოყენება. ვფიქრობ, მალე ქართული კონტინგენტი გაიზრდება.

არმიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ კაზუსთან გვაქვს საქმე. საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია? გამოდის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# აფხაზეთის ვეტერანებთან შეხვედრა



2015 წლის 24 მაისს მოსკოვში შედგა საერთაშორისო კავშირის **„გამარჯვების მემკვიდრეების“** ყრილობა, სადაც ამ კავშირის პრეზიდენტის ბატონი ვალერი კალიაკინის მეშვეობით შედგა ჩემი შეხვედრა სოხუმიდან ჩამოსულ ომის ვეტერანებთან. შეხვედრამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში, ძალიან კონსტრუქციულად, სადაც გადაწყდა აფხაზეთიდან ლტოლვილთა, ომის ვეტერანებისა და მათი შვილიშვილებისათვის ახლო ნათესავებისა და მშობლების სასაფლაოების მონახულების საკითხი. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა – შეთანხმება აფხაზეთის ხელისუფლებასთან თავის თავზე აიღო ბატონმა ვალერი კალიაკინმა. მისი მოთხოვნით ვეტერანების სია, რომლებმაც უნდა მოინახულონ საფლავები უკვე გაგზავნილია მოსკოვში – როგორც ბატონი ვალერი დამპირდა, საკითხის გადაწყვეტა მოხდება ივლისის თვემდე.

მეორე დღეს **„გამარჯვების მემკვიდრეების“** საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტთან ბატონ კალიაკინთან შედგა მსჯელობა ბიზნესის განვითარების შესახებ, რომელიც იქნება მიმართული დიდი სამამულო ომის ომის მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების სასარგებლოდ.

თბილისში დაბრუნებისთანავე საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარესთან ბატონ რეზო ნაცარიშვილთან და მის მოადგილეებთან ბატონ გურამ გვეტაძესთან და ტიტე ლეფსაიასთან ერთად შევაჯამეთ დიდი სამამულო ომის დამთავრების 70 წლისთავთან დაკავშირებით გათვალისწინებული ღონისძიებების – დიდი სტალინის ძეგლის აღმართვა გორში და მელიტონ ქანთარიას ბიუსტის დადგმის მიმდინარეობის შესახებ.

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა პიროვნებებმა ყველაფერი გააკეთეს რომ სტალინის ძეგლი და ქანთარიას ბიუსტი დამდგარიყო. დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტმაც. არაერთხელ შევაწუხეთ მთავრების წევრები, რომლებსაც ეს ეხებოდა – დაიწერა ძალიან ბევრი წერილი. არაერთხელ, ჩვენ, ბატონებთან რეზო ნაცარიშვილთან, გურამ გვეტაძესთან და ტიტე ლეფსაიასთან ერთად ვიყავით თბილისისა და გორის მერიებში. ვიყავით გუბერნატორთან და მრავალ სხვა სახელმწიფო ორგანოში, მაგრამ მიუხედავად ხელისუფალთა დაპირებისა, საქმე არ გაკეთდა – სწორედ ამიტომ, ვეტერანთა ცენტრალურმა კავშირმა მოიწვია ბიურო, სადაც ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ გააკეთა ომის ვეტერანმა, აფხაზეთიდან დევნილ ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამანტი ჯოლიამ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ ერთი თვე აცალოს ხელისუფლებას და თუ ბიუსტისა და ძეგლის დადგმას თავი ვერ მოაბეს – გამოყოფენ ვეტერანთა შემადგენლობიდან ოთხ-ხუთ ვეტერანს და შეხვედრა შედგება ამერიკის ელჩთან, რომელთანაც მეგობრულად ჩატარდება საუბარი, მით უმეტეს, ჩვენი ხალხები ერთად ომობდნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. თუ ამანაც არ გაჭრა, ბატონმა მამანტიმ განაცხადა, რომ ის თავის თავზე იღებს აქციის ჩატარების საქმეს, მთავრობის კანცელარიასთან გამოიყვანს 50.000-ზე მეტ ლტოლვილ მოსახლეობას და ეს თუ მოხდა, აუცილებლად, თავისთავად, კარნახის გარეშე, ამას თვითნებურად შეუერთდება თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა და მიტინგი იქნება ფრიად გრანდიოზული.

უკეთესია მთავრობამ შეიგნოს, რომ კარგად იყოს ყველასთან (ნუ გამოყოფს) – ამერიკასთან, ევროპასთან, რუსეთთან – როგორც ამას სხვები ახერხებენ და აკეთონ ქართული საქმე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ეს მთავრობა ამას გააკეთებს და ქართველი ხალხი და საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც შვებით ამოისუნთქავენ და ლაღად, თავისუფლად ივლიან ქართულ მიწაზე.

ბოლოს და ბოლოს თუ დიდი სტალინის ძეგლის დადგმა დიდი პოლიტიკაა, მაშინ რატომ სჭირს მელიტონ ქანთარიას ბიუსტის დადგმა?

ეს ადასტურებს იმას, რომ ეს ყველაფერი გარე ძალების კარნახით ხდება, რომ დიდი სამამულო ომის ხსენება საერთოდ შეწყდეს მსოფლიოში – აქაც. დარწმუნებული ვარ, ამას არ გააკეთებს დღევანდელი ხელისუფლება, რატომღაც მჯერა მისი ერთგულებისა ქართული საქმისადმი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რაც მაისის თვეში მოხდა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 8 მაისს გამოფენილ იქნა მელიტონ ქანთარიას სურათი – რაიხსტაგზე დროშის აღმართვის მომენტი, რომელმაც დიდი მოწონება ჰპოვა.

**ოლეგ ჯოლია**
**საქართველოს საერთაშორისო კავშირის „გამარჯვების მემკვიდრეების“ თავმჯდომარე**

# თამარ კიკნაძე: უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია



**გასული კვირის ყველა ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ცნობამ გადაფარა, თუმცა ჩვენი ინტერესის სფეროში მაინც მოხვდა სიახლე:**

ადმინისტრაციის პრესსამსახურმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოწვევითა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის სპეციალურ მრჩევლად ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებში მაიკლ ო'ბოილი დანიშნა. ჩვენი ყურადღება, აგრეთვე, მიიპყრო **"ისლამური სახელმწიფოს"** მიერ რუსეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, პროვინციის დაარსებამ. კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.

**– "ისლამურმა სახელმწიფომ" ჩრდილოეთ კავკასიაში ვილაიეთი დააარსა. ზოგი ქართველი პოლიტოლოგი ამბობს, რომ ეს საქართველოს საფრთხეს არ შეუქმნის...**

– ე.წ ისლამური სახელმწიფოს ქმედებები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა და დიდი საფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს. ის ანადგურებს კაცობრიობის მიერ შექმნილ უნიკალურ ძეგლებსა და ცდილობს ისტორიული მეხსიერების წაშლას. აღნიშულ სახელმწიფოში უკვე 5-6 მილიონი მოსახლეა. დღეს **"ისლამურ სახელმწიფოს"** სახელმწიფოებრივი ნიშნებიც აქვს თავისი მმართველობით, სტრუქტურებით და უკვე საკუთარი ფულის მოჭრაზეც არის საუბარი, თანაც დაპყრობილ ტერიტორიაზე 5-6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. დასავლური ლიბერალიზმის კრიზის ფონზე, **"ისლამური სახელმწიფო"** ბევრი ახალგაზრდისთვის არის მომხიბვლელი; იქ ჩადიან ადამიანები ევროპიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან... ახლახან საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა, რომელიც ამ ორგანიზაციის რიგებში იბრძოდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა საკმარისად კონსოლიდირებული არ არის **"ისლამური სახელმწიფოს"** წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ საჰაერო დარტყმები სასურველ შედეგს არ იძლევა და მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება. სამაგიეროდ, ამ დარტყმებისას იბომბება სირიის ტერიტორიაც, **"ისლამური სახელმწიფო"** ნავთობს დაბალ ფასად შავ ბაზარზე ყიდის, მსოფლიოს დახურულ აუქციონებზე იყიდება კულტურის უნიკალური შედევრები. ეტყობა, ამ ორგანიზაციას გარკვეული ფუნქცია აქვს შესასრულებელი და მისი არსებობა ხელს აძლევთ გარკვეულ ძალებს.

**– "ისლამური სახელმწიფო" – ჩრდილოეთ კავკასიაში, ნატოს საწვრთნელი ცენტრები – საქართველოში... შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთმა განაცხადოს – თავს ვიცავო და მართლაც, გადაწყვიტოს იარაღით თავის დაცვა ამ ყველაფრისგან... დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ?**

– საფრთხე ნამდვილად დიდია. **"ისლამური სახელმწიფოს"** ერთ-ერთი მიზანი, ჩემი აზრით, პოლიტიკური რუკის შეცვლაც არის. რაც შეეხება საქართველოში საწვრთნელი ცენტრის განთავსებას, რუსეთი ამ ნაბიჯს მტრულ აქციად განიხილავს, ამიტომ მას რეაქცია აუცილებლად ექნება.

საერთოდ, დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ძირითადი საკითხი დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაა, თუმცა ევროპაში განწყობა სხვადასხვანაირია. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა თვით ევროპასაც სერიოზულად დაარტყა, ამიტომ ზოგმა ევროპულმა ქვეყანამ რუსეთთან კავშირი მაინც შეინარჩუნა. ეს კარგად გამოჩნდა პეტერბურგის სამიტზე, სადაც საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციები იყო ჩასული, მათ შორის, ეკონომიკური ჯგუფები, პოლიტიკოსები და სხვ. ასეთი შეხვედრები იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები ვერ წყდება, მათ შორის, **"ისლამური სახელმწიფოს"** პრობლემაც. რუსეთის ხელისუფლებამ კი სირიის დახმარების გადაწყვეტილება მიიღო.

ვინ იბრძვის **"ისლამურ სახელმწიფოში"?**

– ამერიკის მიერ მხარდაჭერილი ისლამისტები, რომლებიც სირიაში, ერაყსა და ლიბიაში იბრძოდნენ, ამიტომ ამ პროცესებში რუსეთის ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია.

**– ვინ შეიძლება იყოს ჩვენი მფარველი ამ მეტად მძიმე ვითარებაში? ვის შეუძლია, "ისლამური სახელმწიფოსგან" მომდინარე საფრთხე აგვარიდოს? ზოგი ქართველი პოლიტიკოსი თვლის, რომ ამის გაკეთება რუსეთს შეუძლია, ხოლო ზოგი ამბობს, რომ "ისლამური სახელმწიფო" რუსეთის შექმნილია.**

– არა მგონია, **"ისლამური სახელმწიფო"** რუსეთის შექმნილი იყოს, რადგან უკვე გითხარით, რომ ამ **"სახელმწიფოში"** ის ადამიანები არიან, რომლებიც ლიბიაში, სირიასა და ერაყში იბრძოდნენ და ამერიკისა და დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. საგულისხმოა, რომ ლიბია, სირია და ერაყი სეკულარული სახელმწიფოები იყო და ეს ისლამისტური ჯგუფები მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ. ახლო აღმოსავლეთში ეს სამი სახელმწიფო, ასე თუ ისე, მშვიდობას ინარჩუნებდა და რეგიონიც უფრო სტაბილური და მშვიდობიანი იყო. დღეს კი ეს რეგიონი ტერორიზმის ყველაზე ცხელი ადგილია.

ამერიკას განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, იგი სხვა კონტინენტზეა, ამიტომ აქ მიმდინარე პროცესები მას პირდაპირ არ ეხება, თუმცა მისი ინტერესების სფეროშია. ისინი ანგლო-საქსური პოლიტიკის კარგი გამგრძელებლები არიან. მათ შექმნეს ევროატლანტიკური სტრუქტურები და პროცესებს იმ პრინციპებით წარმართავენ, რომლითაც თავის დროზე ინგლისი. აშშ ახალი ტიპის მსოფლიო იმპერიაა და ამაზე ამ ქვეყნის პოლიტიკოსები დაუფარავად საუბრობენ.

**– ამერიკამ ორმოცდაათივე შტატში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. როგორ მიიღებს ამ ფაქტს მართლმადიდებელი საბერძნეთი, რომელიც მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას?**

– ევროპის პოლიტიკური ელიტისთვის ამერიკელთა ეს გადაწყვეტილება მისაღებია, მაგრამ იმავე საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ მილიონიანი აქცია გაიმართა; წინააღმდეგობაა გერმანიაში, თურქეთში, იტალიაში და სხვ. რაც შეეხება საბერძნეთს, იქ რთული პროცესები ვითარდება და მათი შედეგები დიდწილად განსაზღვრავს მსოფლიოს მომავალს.

დღეს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დასავლეთის პოლიტიკური ელიტის პრიორიტეტია. ამაზე ახლახან განცხადებები გააკეთეს ობამამ, კერიმ, ბაიდენმა. ზოგიერთი ქართველი ექსპერტი აცხადებს, რომ ეს ახალი ცივილიზაციისა და ეპოქის დასაბამია და თუ ამას შევეგუეთ, სრულიად ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბების მონაწილენი გავხდებით.

დღეს დიდძალი ფული იდება ე.წ. ტრანსჰუმანიზმის განვითარებაში, რაც ხელოვნური ადამიანის შექმნას გულისხმობს და ეს მხოლოდ მდიდარ ადამიანებს ხელეწიფებათ. ერთქესიანთა ქორწინების ძირითადი მიზანი ადამიანთა გამრავლებაზე კონტროლის მოპოვებაა. ტრანსჰუმანიზმი, ფაქტობრივად, ღმერთთან შეჯიბრებას ნიშნავს და, როგორც სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფრენსის ფუკუიამა ამბობს, **"ადამიანის ღმერთთან შეჭიდება ძალიან ცუდად დამთავრდება".**

დღეს დასავლური ლიბერალური აზროვნება კრიზისშია და ადამიანის განუხრელი თავისუფლება ადამიანთა მოდგმის თვითლიკვიდაციას უწყობს ხელს.

**– ქალბატონო თამარ, ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეები საქართველოშიც გამოჩნდებიან, მით უმეტეს, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, მსოფლიომ უნდა მიიღოს ეს კანონიო. საქართველოს პრემიერმა, თავის მხრივ, განაცხადა – საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებლად შევა მუხლი, რომლითაც მკვეთრად იქნება გამოხატული, რომ ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის ერთობააო. შეძლებს ღარიბაშვილი კონსტიტუციაში ამ მუხლის შეტანას?**

– ჩემი აზრით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგია და ღარიბაშვილი მათ აზრს გამოხატავს, მაგრამ ის ძლიერი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. პრემიერის მხრიდან ამ განცხადების გაკეთება დიდი ვაჟკაცობა და სითამამე იყო, რადგან დასავლეთი მას ჰომოფობიაში დასდებს ბრალს, თუმცა არჩევნების წინ მას დივიდენდებს შესძენს. ვნახოთ, როგორ გაუმკლავდება იგი ამ სიტუაციას.

**– ღარიბაშვილის განცხადება ევროპასა და ამერიკას არ მოეწონება, შესაძლოა, ზურგიც კი შეაქციონ. ვის უნდა შეაფაროს თავი? ის არაბებთან მეგობრობს, ინვესტიციებსაც მათგან ელოდება...**

– დასავლეთიც არ არის ერთფეროვანი. ამერიკაშიც რესპუბლიკელებმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატეს ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ, ჩვენი პოლიტიკის არსიც მის დივერსიფიცირებაში მდგომარეობს, ქართველებმა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სწორი პარტნიორები უნდა ავირჩიოთ და უსიტყვოდ და უაპელაციოდ არ შევასრულოთ ჩვენთვის მიუღებელი რეკომენდაციები. ეს კი დიდ ერუდიციას, სითამამეს, პოლიტიკურ ალღოს, თავის შეწუხებას მოითხოვს. დღეს ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას არ უნდა ემსახურებოდეს. ვისაც ქვეყნის კეთილდღეობა უნდა, ის ყოველდღიურად უნდა სჩადიოდეს სამოქალაქო გმირობას, რისკავდეს. საქართველო მძიმე სიტუაციაშია და ამიტომ დღეს ხელისუფლებაში გმირები უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიზისიდან ვერ გამოვალთ. ამ მხრივ ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას მივესალმები, მაგრამ მას უნდა ჰყავდეს გუნდი, რომელთან ერთადაც პრობლემის მოგვარებას მოახერხებს. **"ქართული ოცნება"** თავისი რიგების გაძლერებას არ ცდილობს, არც სტრუქტურულად და არც პერსონალიებით. ხელისუფლება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ხარჯზე ძლიერდება. რესპუბლიკელები მკვეთრად პროდასავლური ძალა არიან და ყოველგვარ დასავლურს, უაპელაციოდ იღებენ.

**– ერთსქესიანთა ქორწინება რომ დაკანონდეს, ეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს უფრო არ დაგვაშორებს?**

– აფხაზები და ოსები ერთსქესიანთა ქორწინებას არ მიიღებენ და არც ჩვენ უნდა დავაკანონოთ. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ასეთ ქორწინებებს ჩვენი ეკლესია უარყოფითად აფასებს. სწორედ ამით არის განპირობებული შეტევები ჩვენს პატრიარქსა და ეკლესიაზე. დემოგრაფიულად კი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ.

**– პრემიერ ღარიბაშვილს ევროსაბჭოდან მრჩეველი გამოუგზავნეს, თანაც, ადამიანის უფლებათა დამცველი. ეს კარგია თუ ცუდი?**

– დღეს ქვეყნების სუვერენიტეტის დონე სულ უფრო მცირდება. უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი შეზღუდულია. საქართველომ ევროასოცირებას მოაწერა ხელი და ეს ჩვენი ხელისუფლების არჩევანი იყო. მაგრამ ევროკავშირი პრობლემების წინაშე დგას და მის ერთიანობასაც საფრთხე ემუქრება. როგორც **"ვიკილიქსის"** მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ჩანს, ზოგიერთი ევროპული ქვეყანაც უწყობს ამას ხელს. საერთოდ, ჩვენ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში ვიმყოფებით. პოლიტიკური თვალსაზისით, ეს საინტერესო პროცესია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მძიმედ აისახება ადამიანების ცხოვრებაზე.

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეზობელი ქვეყნის სწრაფვა, – „საკუთარი წარსული შეალამაზოს და ისე წარმოაჩინოს“ – უამრავ კითხვას ბადეს საქართველოში!

ბატონი როლანდ ჯალაღანიას სტატიამ, – **„როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარს“**, როგორც მოსალოდნელი იყო, მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და იგი მრავალრიცხოვან კომენტრებშიც გამოიხატა.

რამდენიმე წლის წინ **„დავით-გარეჯის“** სამონასტრო კომპლექსზე გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი,– ***„ყველაფერი შეიძლება მოხდეს და გაგებით შეხვდე, მაგრამ, როცა ორთოდოქს, მართლმადიდებელ ქართველს, მაჰმადიანი, ქართულ მართლმადიდებლურ სამონასტრო კომპლექსს გედავება, ნორმალურ ადამიანს ეჭვი შეგეპარება და დაფიქრდები, – ან ჩვენ არ ვართ ქრისტიანები, ან ისინი არ არიან მაჰმადიანები, ვინაც ქრისტიანულ ძეგლს გვედავება!“***

ბატონი როლანდის სტატიაში განხილულმა თემამ, თითქოს თვალი ამიხილა და თურქი კინომატოგრაფისტების ნაღვაწის პარალელურად, მათი ქართველი კოლეგების ბოლო 20 წლის შემოქმედებით მიღწევებს გადავხედე და სახტად დავრჩი: რადგან თურქი კინემატოგრაფისტების თავდადებული შრომა, – **მათი შორეული წინაპრის განდიდებას, ჩრდილოვანი მხარეების დამალვას, ხშირ შემთხვევაში გადამეტებული სიდიადით წარმოჩენას და დანარჩენი სამყაროსთვის გაცნობას ეძღვნება!**

თურქების ქართველი კოლეგები თავს არ ზოგავენ, რომ საქართველო და ქართველები, – **ქურდებად, მოძალადეებად, ნარკომანებად, მეძავებად, ევრო-ამერიკული გადახრების მიმდევარ სქესარეულებად და კიდევ თუ რამე სისაძაგლე არსებობს, ისეთებად აჩვენონ გარესამყაროს!**

მაგალითისთვის, გადახედეთ ამ მცირე ჩამონათვალს:

**„ცხელი ძაღლი“, „ჩემი ცოლის დაქალები“... ეკა ხოფერიას, ნანუკა ჟორჟოლიანის, მაია ასათიანის ტელეშოუები...** და კიდევ მრავალის ნახვის შემდეგ, წუწუნი, იმაზე, რომ საქართველოში კინო არ ფინანსდება, საეჭვოდ მოეჩვენება საქმეში ჩაუხედავ ადამიანს, მაგრამ თუ თავს გავანძრევთ დავინახავთ რომ, – **ფინანსდება, როგორ არ ფინანსდება! მაგრამ, ფინანსდება ის, რაც სახელს გვიტეხს და საეჭვო მეზობლად და პარტნიორად წარმოგვაჩენს!**

მაგალითისთვის, დიდი რეზო ჩხეიძის ბოლო კინოშედევრი **„მაცხოვრის საფლავთან დანთებული სანთელი“** კმარა, რომლის გადასაღებად საჭირო თანხა საქართველოში ვერ მოიძებნა და იგი რუსებმა დააფინანსეს. ასე გაჩნდა, ქართული კინოს ისტორიაში პირველად, ქართული ფილმის რუსულენოვანი დედანი. მადლობა ღმერთს ასე მოხდა და სხვა, განუხორციელებელ ოცნებასთან ერთად, იგი, თან არ გაიყოლა!

არ მიკვირს, ყოველივე ამის ფონზე, მაჰმადიანს, ქართულ ქრისტიანულ სიწმინდეებზე ეჭიროს თვალი, რადგან, ისინი, ჩვენ, თანამედროვე ქართველებს, ამ სიწმინდეების მემკვიდრედ არ განგვიხილავენ!

დააკვირდით კიდევ ერთ საოცრებას, – **სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ერთმანეთს გადაკიდებული, სომხეთი და აზერბაიჯანი, ყველა მტრობას ივიწყებენ, როცა უძველესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიტაცების შესაძლებლობაზე მიდგება საქმე და მეტისმეტი ჰარმონიულობით ერთიანდებიან საქართველოს წინააღმდეგ.**

არაერთხელ დამიწერია და გამომიქვეყნებია, – ***აზერბაიჯანის სახელმწიფო, რომლის ხელშია ფაქტიურად, საქათველოს ნავთობენერგეტიკული პროდუქტების ბაზარი და უკონკურენტოდ ჰეგემონობს მასზე, ქართულ მხარეს, დაწყებითი კლასების ქართულენოვანი ლიტერატურის შეტანას უკრძალავს საუკუნის წინ მიტაცებულ ძირძველ ქართულ, ჰერეთის ტერიტორიაზე!***

არავინ იფიქროს, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის მთავრობას ვადანაშაულებდე, – არა ბატონებო, იგი, ჩვენი, ყოფილი და დღევანდელი მთავრობების ბრალია, რადგან, როცა ყოფილ მთავრობას, დღევანდელი ხელისუფალნი კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდნენ აზერბაიჯანის მთავრობასთან, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იგივე გზას ადგანან და ბუნებრივია, მორალური უფლება (კანონიერზე არაფერს ვამბობ) არ დაიტოვეს, იმაზე მეტი მოთხოვონ **„კეთილმეზობელ“** აზერბაიჯანს, ვიდრე ყოფილი მთავრობა ავალდებულებდა!

დროებით აქ დავსვათ წერტილი და თურქულ სერიალს მივუბრუნდეთ:

– ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურია საკუთარი მანქანით თურქეთის ტერიტორიაზე, აუცილებლად ჩართავდა რადიოს და იქაური გადაცემებით დაინტერესდებოდა. უამრავი ქართველისთვის მიკითხავს ამის შესახებ და იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველას უთქვამს,– იქ, თურქულის მეტს ვერაფერს გაიგონებო!

– სწორედ ამაშია თურქების სიძლიერე, – თურქეთში, თურქულ რადიოში თურქული უნდა გაიგონო და არა ისე, როგორც ეს **„გაღამურებულ“** საქართველოში ხდება, – ერთი მეხუთედი ქართული და დანარჩენი ინგლისური!

უცხოს ამაში ვერ დავადანაშაულებთ, – **როცა ქვეყანას, საკუთარი სახელმწიფოებრივი ხედვა და ხანგრძლივი სამომავლო გეგმა არ გააჩნია, ბუნებრივია, იგი იმ უცხოზეა დამოკიდებული, ვისაც საკუთარი ნებით მიეყიდა, ყმად დაუდგა და მისი ნასუფრალის შემყურეობა არჩია, საკუთარი გზის ძიებას და მის განვითარებას!**

საკუთარი გზის და იდენტობის არ ქონის, კიდევ ერთი უტყუარი ნიშანი გახლავთ, – **მტრადმოკიდებულ (უმეტესწილად საკუთარი უგუნურობის გამო!) ქვეყნებში, ათწლეულების მანძილზე ისეთი ხელისუფალის მოსვლის მოლოდინი, რომელიც, – საქართველოს ბოდიშს მოუხდის წარსულის წყენების გამო და ოქრო-ვერცხლით აავსებს!**

– გაიხსენეთ აფხაზეთი, – არძინბა იყო ყველაფერი ცუდის თავი და თავი, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ, არც ბაღაფში, არც ანქვაბი და არც დღევანდელი გამოდგა საქართველოს ხელისუფლებისთვის მისაღები!

– ისევე, როგორც რუსეთში, – ბორის ელცინი, ვლადიმერ პუტინი, მედვედევი და ისევ პუტინი, ვერა და ვერ მიხვდნენ, ბოდიში მოიხადონ, პატიება თხოვონ და კონტრიბუციის მოთხოვნის წერილის შინაარსი უკარნახონ, ამერიკის ელჩის მიერ დანიშნულ საქართველოს მთავრობას!

ჩემო ძვირფასო მკითხველო:

რატომ უნდა იყოს უკეთეს დღეში, ასე მოაზროვნე ერი, ან, რატომ უნდა ჰყავდეს უკეთესი მთავრობა?.. ნუთუ, ძნელად პასუხგასაცემია?!.

ეს და კიდევ უამრავი, გულსაკლავი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ, ამჯერდ თქვენს დროს და ნერვებს გავუფრთხილდები და ბ-ნი როლანდ ჯალაღანიას სტატიაზე, სოციალურ ქსელში, მკითხველის წერილობით გამოხმაურებას შემოგთავაზებთ. თუმცა, იმის გარანტიასაც ვერ მოგცემთ, რომ, იქ, მეტ შვებას იგრძნობთ!

პატივისცემით,

**დავით ქობალია**

## „როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარს“

http://for.ge/view.php?for_id=41024&cat=3

„უილიამ შექსპირი „ოტელოში“ ამბობს, გაქურდულად არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც ვერ შეამჩნევს, რომ მას რაიმე მოპარეს. ამიტომაც არ შეიძლება, ჩავითვალოთ გაქურდულებად, რადგან ჩვენივე სიბეცისა თუ გულარხეინობის გამო ვერ ვამჩნევთ, რომ მეზობლები ხან გარეჯის მონასტერს გვპარავენ, ხან ალავერდის ტაძარს, ხან ლაზისტანსა და ტაო-კლარჯეთს“,– აცხადებს For.geსთან საუბარში გაზეთ **„ილორის“** მთავარი რედაქტორი **როლანდ ჯალაღანია.**

კონკრეტულად, მისთვის მტკივნეულია, როცა ხედავს, რომ, თურქებისგან განსხვავებით, ქართველები მართლაც საამაყო თავიანთ ისტორიას ამახინჯებენ. მისი თქმით, ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე აიტვირთა საქართველოს ექვსი ყველაზე საზიზღარი მეფის შესახებ და, მათ შორის, ვაიქართველებმა რატომღაც სისასტიკით გამოარჩიეს დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე... როლანდ ჯალაღანიას უკვირს, რომ ეს იმ ქართველების დაწერილია, რომლებსაც დავით აღმაშენებლის მიერ თავისი ქვეყნის სიყვარული სისასტიკედ მოსჩვენებიათ. ის, რომ მეფე დავითმა მოღალატე თავადი – ლიპარიტ ბაღვაში საქართველოდან მხოლოდ გააგდო და, თურქებისგან განსხვავებით, შვილებიანად არ ამოწყვიტა, თურმე, ზოგიერთის გაგებით, სისასტიკე ყოფილა.

„შეადარეთ ახლა ეს თურქულ რეალობას. ეს სპეციალურადაა გაკეთებული, რომ თურმე ჩვენი მეფეები უღირსნი იყვნენ და აგერ, კაცო, თურქეთის სულთანი მაგარი ყოფილა. ამის მაგალითად კმარა თურქული მრავალსერიანი (300 სერიაზე მეტი) მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „დიდებული საუკუნე“, რომელმაც მხოლოდ იმიტომ დამაინტერესა, რომ მასში შუა საუკუნეების თურქეთის სულთნის, მემატიანეთა მიერ „სჯულმდებლად“ და „ბრწყინვალედ“ სახელდებულ სულეიმან მეორის (1520-1566 წწ.) ცხოვრებისა და გარდაცვალების შემდგომი პერიოდის ცხოვრებაა ასახული. სულთან სულეიმან მეორის მმართველობა მართლაც „დიდებულ“ ჟამად შეიძლება შეფასდეს ოტომანთა უძლეველი იმპერიისთვის, რადგან მათ არ იკმარეს ქრისტიანობის მეორე რომად მიჩნეული კონსტანტინეპოლის აღება – ევროპას შეუტიეს და ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ალბანეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ბოსნია, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია. დროის ამბავი გახლდათ ოტომანთა მიერ რომის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა დაპყრობა. მაგრამ, ქრისტიანული სამყაროს სასიკეთოდ საქმე სხვაგვარად წარიმართა და სულთან სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ, ოტომანთა იმპერიამ მალევე დაკარგა დაპყრობილი ტერიტორიები.

სულეიმან მეორე ფილმში ნიჭიერ სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწედ, შვილების მკაცრად აღმზრდელ სამართლიან, გულმოწყალე და დიდებულ მამად არის გამოყვანილი, რომლისთვისაც უპირველეს ამოცანას ოტომანთა იმპერიის ძლიერება წარმოადგენდა. ყველაფერში ვეთანხმები ფილმის შემქმნელებს, გარდა სულეიმანის გულმოწყალეობისა და სამართლიანობის, რადგან ამ საკითხზე მსოფლიოს ცნობილ ისტორიკოსებს სრულიად განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ. ამისთვის კმარა გერმანიის იმპერატორ ფერდინანდის ელჩის – ოჟიე გიზელენ ბუსბეკის, ასევე, ოსმალეთის წარსულზე მომუშავე შუასაუკუნეების გერმანელი ისტორიკოსების ჰამერ-პურკსტალის და ცინკეიზენის ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ სულეიმან მეორის საშინელ ოჯახურ ტრაგედიას, რამაც სისხლში ამოთხვარა სულეიმანის საიმპერატორო მოსახხამი. 1553 წელს მან სიკვდილით დასაჯა უდაოდ ნიჭიერი უმრწმესი შვილი მუსტაფა და მისი მცირეწლოვანი შვილი (4 წლისა), რაც ფილმში სულეიმანის ცოლს, წარმოშობით ბესარაბიელი მღვდლის შვილს როქსელანას (ჰიურემი) და დიდვეზირად აღზევებულ მეჯინიბეთუხუცეს რუსტემ ფაშას ბრალდება. სინამდვილეში, სულთან სულეიმანს მუდამ ეშინოდა ტახტის დაკარგვის, რისი შენარჩუნებისთვისაც მას არად მიაჩნდა საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეც კი. ეს არ გახლავთ ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი?“ – აცხადებს როლანდ ჯალაღანია.

უფრო მეტიც, იგი იშველიებს სახელგანთქმული ისტორიკოსის – ჰელმოლტის „კაცობრიობის ისტორიას“, სადაც მოთხრობილია, რომ სულეიმანის შვილმა, დაბადებით კუზიანმა, მაგრამ ჭკვიანმა ჯიჰანგირმა მუსტაფას კუბოსთან მოიკლა თავი ულმობელი მამის თვალწინ. ფილმში კი რატომღაც ჯიჰანგირი დარდისგან კვდება, რითაც რეჟისორებს სულეიმანის სისასტიკე უკანა პლანზე გადააქვთ.

ამავდროულად, ისტორიკოსი ჰელმოლტი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს, რომ ჰიურემი დასავლეთის სამყაროს აგენტი იყო და ის შეგნებულად „მიუგდეს“ სულეიმანს, რათა მის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ჭკვიანი პრინცები – მუსტაფა ან მეჰმედი არ აღმოჩენილიყვნენ. როლანდ ჯალაღანიას თქმით, ჰიურემი სილამაზითა და ცბიერებით იყო გამორჩეული და სამეფო კარზე გაჩაღებული ინტრიგების წყალობით მან ლამის კაბაზე გამოიბა სულეიმანი. ამდენად, ჰელმოლტიც სერიოზულად ეჭვობს, რომ მეჰმედი მოწამლეს სწორედ მისი ბიოლოგიური დედის – ჰიურემის ბოროტი ნებით, რათა ტახტისკენ გზა გაკაფვოდა უნებისყოფო და ლოთ სელიმს, რომელიც ჰიურემმა ასევე ძლიერ ქალზე – ვენეციელ სესილიაზე დააქორწინა და ისიც თავის ჭკუაზე ატარებდა უკვე გასულთნებულ სელიმს. სწორედ ამან გამოიწვია, რომ ერთ დროს ბიზანტიის დამამხობელი და კონსტანტინეპოლის ამღები ოსმალეთი ამ სუსტი მმართველის ხელში დასუსტდა და მალე ლამის დაშლის პირად მივიდა.

„ამიტომ გამოთქვამენ სერიოზულ ეჭვს იმდროინდელი თუ შემდეგი პერიოდის მემატიანეები, რომ ჰიურემი სპეციალურად იყო მიჩენილი სულთანისთვის, რათა ოსმალეთის ტახტზე ყოვლისშემძლე სულთანი არ დამჯდარიყო. თუ ეს ასეა, მაშინ ქრისტიანულ სამყაროს მადლობის მეტი რა უნდა გვეთქმოდეს ჰიურემის მიმართ. ფილმში კი ყველაფერი ყირაზეა დაყენებული – მეჰმედის მოწამვლა სულეიმანის პირველ ცოლს, მუსტაფას დედას – მაჰიდევრანს ბრალდება, სულეიმანი კი საშინლად განიცდის უმრწმესი შვილის მუსტაფას ტრაგიკულ აღსასრულს. მოკლედ, ფილმის მიხედვით, ყველა ამ მომხდარ ტრაგედიათა მიზეზი შემთხვევითი ინტრიგებია – რეალური დამნაშავე, ტირანი და სისხლისმსმელი სულეიმან მეორე კი არაფერ შუაშია. ესეც არ გახლავთ ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი? ფილმში, ასევე, მხოლოდ გაკვრითაა ნათქვამი იმდროინდელ ოსმალეთში გავრცელებულ ბარბაროსულ ტრადიციაზე, რომელიც სახელმწიფოს კანონად აქცია ჯერ კიდევ სულთანმა მურად პირველმა. ოსმალეთის ტახტზე ასულ სულთანს უნდა დაეხოცა თავისი ძმები, რათა ტახტის მფლობელს კონკურენტი აღარ დარჩენოდა, რომელთა შორის გაჩაღებულ ბრძოლასაც შეიძლება იმპერიის გახლეჩვა მოჰყოლოდა. განა სწორედ ამიტომ არ დასაჯა სიკვდილით სულეიმანმა მუსტაფასთან ერთად მისი ოთხი წლის შვილიც, რომელიც შეიძლებოდა ტახტზე ასულ სულთანს მტრად მოჰკიდებოდა? განა ამიტომ არ ამოხოცა სულეიმანის შემდეგ ტახტზე ასული სელიმ მეორის შვილმა მურად მესამემ თავისი ხუთი ძმა, ოსმან მეორემ კი ძმა საკუთარი ხელით დაახრჩო? ასევე, ძმების სისხლში აქვს ხელები გასვრილი ოსმალეთის სულთან მურად მეოთხეს. ამ საქმეში კი „რეკორდი“ აშკარად ეკუთვნის სულთან მურად მესამის შვილს მუჰამედ მესამეს, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე საკუთარ 19 ძმას ხარებივით დააჭრა ყელები და სრულიადაც არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა“,– აცხადებს როლანდ ჯალაღანია და ქართულ პარალელებსაც იხსენებს.

მაშინ, როცა ქართველებმა ძმის მკვლელობა არ ვაპატიეთ უფლისწულ კონსტანტინეს და ფილმიც კი მივუძღვენით მის ავკაცობას, მაშინ, როცა ზოგიერთი ამორალური არამზადა „მემატიანე“ თვით წმინდა თამარ მეფის ბუდუარშიც იქექება, თურქები დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივ მკვლელებსა და მედროვეებს.

ყოველივე ამის უკან ჩვენი რესპონდენტი თურქიზაციის პროცესს ხედავს და მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოება ერთსულოვანი უნდა იყოს და, თუ ტელეარხი თურქულ პროპაგანდას ეწევა, მას რეკლამა არ მიაწოდონ. მისი აზრით, ამ ფილმების პროპაგანდა სჭირდებათ იმისთვის, რომ ავადსახსენებელ ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის, როცა ლენინმა და ათა-თურქმა საქართველო შუაზე გაყვეს. შეთანხმების მიხედვით, თურქეთმა აჭარის ნაწილი, მისი უდიდესი ქალაქი ბათუმით და ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ნაცვლად ამისა, ძირძველი ქართული ტერიტორიები ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო.

„აზრი რომ გამოთქვა, ცოცხლად დაგმარხავენ, პრესის უფლებები ირღვევაო, არასამთავრობოები და ვიღაცეები არ აურჩევია ქართველ ხალხს, ქართველმა ხალხმა აირჩია „ოცნება“. მაშინ უყურონ ამ დეგენერატობებს, რომ თურმე სულეიმანი სჯობს დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეორეს და გიორგი ბრწყინვალეს. ეს სერიალები რაღაცას ემსახურება. ისევე, როგორც კიდევ ერთ თურქულ სერიალში („გული არ დაგწყდეს ჩემს გამო“) ლაზური „დიდოუ ნანა“ თურქულ სიმღერად წარმოაჩინეს. ამაზე ხმის ამომღები არავინაა.

მესმის, თამარ მეფე ქალი იყო, მაგრამ, შე კაი ადამიანო, იმის მეტი არაფერი გაუკეთებია თამარს, რომ ლოგინში იწვა გიორგი რუსთან და დავით სოსლანთან? ეს არის ჩვენი ისტორია?! მე-13 საუკუნეში შესანიშნავი ქალი-გურჯი ხათუნი გვყავდა, თამარ მეფის შვილიშვილი, სელჯუკიანთა სასულთნოს დედოფალი, რომელსაც მთელი აღმოსავლეთის პოეზია უმღეროდა და, მის ნაცვლად, რაღაც სისულელელეზე – „ჩემი ცოლის დაქალებზე“ ვიღებთ ფილმებს“.

**მანანა ნოზაძე**

**ვიპვერანა**

ქართული იდეოლოგია არცერთ მთავრობას არ აინტერესებს, არ აინტერესებს ჩვენს მიერ დაფინანსებულ ტელევიზიას, არ აინტერესებს ჩვენს მიერ დაფინანსებულ პარლამენტს. უცხოთა მიერ დაფინანსებულ **ასო**-თა (არასამთავრობო ორგანიზაცია) იდეოლოგია მძლავრობს დღეს საქართველოში. კურტიზანთა იდეოლოგიაა მომძლავრებული. რწმენა და ღვთის შიში გოიმობაა, ეკლესიის გინებაა მოდაში. არც მე ვცხოვრობ ეკლესიურად, მაგრამ არ მსიამოვნებს პატრიარქის ლანძღვა, გაიგეთ, რომ ეკლესიის მსახური ვერ ისაუბრებს სულგაყიდულ მეგრანტეთა მსგავსად. დროა ყველა მივხვდეთ, რომ პრობლემა ჩვენს თავში ვეძებოთ და არა ევროპასა და აზიაში.

**ზაზა**

რა თქმა უნდა, ვიპვერანა, ათასგზის გეთანხმებით. მით უმეტეს, რომ ერის არსებობა განპირობებულია მისი მარადი და უწყვეტი ღვაწლით ამ ცისქვეშეთში ღირსეული დამკვიდრების მიიზნით. როგორც კი მის მიერ ღვწის პროცესი ნელდება, ან ღმერთმა არა ქნას და, საერთოდ წყდება, ერი იწყებს კვდომას. ამგვარია ეროვნული საზოგადოების კანონი.

ჩვენ უკვე ოცდახუთი წელია ჯერ შევანელეთ, შემდეგ შევწყვიტეთ არის მიერ თავისი თავის მოვლა-პატრონობის პროცესი, ამ ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში კი ჩვენი მთავრობა თავად გადავიდა საკუთარი ხალხისთვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენების რეჟიმში.

სავალალო სანახავია, თუ როგორ არჩევენ ამერიკელები საუკეთესო, ნიჭიერებით აღვსილ ახალგაზრდობას, **“სასწავლებლად”** თავისთან მიჰყავთ და იქიდან უკვე გრანტის სისტემით დაფინანსებულ მორიგ **ნჯო**-დ ჩამოჰყავთ, რომლებიც აშკარად ერის დაქცევა-მტრობით არიან დაკავებულნი. ვის რა უნდა დავაბრალოთ, ყველა თავის ინტერესებს ახორციელებს და თუ დროზე არ მოვალთ გონს, უარესი დაგვემართება.

**აბდუშაჰილი**

იმიტომ რომ ჩვენმა ძველმაც ახალმა ხელისუფლებამაც უნდა აჩვენოს იმათ, ვისი დალოცვა-თანხმობითაც განაგებენ ამ ქვეყანას, რომ ამ ქვეყანაში უნდა წაიშალოს ყველაფერი, ასი წლის რადიუსით უკან. არანაირი ადათ-წესები, არანაირი კულტურული ისტორიები, მოკლედ არაფერი. ასეთი ბრბოს მართვა ადვილია. სპობენ ყველაფერს, როგორც შეუძლიათ. ზოგ ერს წარსულს უსპობენ, ზოგს მომავალს. დროა ჩვენმა ლიბერასტებმა (რესპუბლიკელები, ნაცები, ალასანია-ხალიანისტები და მათნაირი **ასო**-ები) დაიწყონ კომპანია ჩვენი წარსული ისტორიის დისკრედიტაციისთვის და რომელიმე ღირსეული ჩვენი მამულიშვილი გამოაცხადონ, ამა თუ იმ ტრადიციულობის (წარსულ დროში) დამრღვევად. არა აქვს მნიშვნელობა ამის დასაბუთებულობას, მთავარი რომ ეს გაჟღერდეს, მერე ვამართლოთ, ავაგოროთ ტალღა დებატებისა, გრიგოლია და და-ძმანნი მისნი, დაყენებული ხმით და ასევე დაყენებული ემოციებით გადაურევ-გადმოურევენ მთელ ამ სიბინძურეს და ერთი თვე ასე ვიბღავლ-ვიღრენთ. შემდეგ ახალი სკანდალი და ა.შ. შემდეგ მოვა ახალი არჩევნები, გადავირჩევთ ან გადმოვირჩევთ მთავრობას. მაგრამ პროცესი გაგრძელდება, იმიტომ რომ ჩვენი არჩევანი ბოლო ასი წლის განმავლობაში განისაზღვრება რაღაც ნაწილით ჩვენი მერკანტელური ანგარებიანობით და აქედან გამომდინარე, არჩევანის დანარჩენი ნაწილი განისაზღვრება ქვეყნის გარედან. ისე კი ბოდიში, ამ აბდაუბდისთვის.

**ოდაბადე**

ისტორიის გაყალბება ლევონტი მროველის ზღაპრებიდან იწყება. ვის ახსოვს ეხლა, რომ კაბადოკია იყო ჭანების ქვეყანა, და რომ წმინდა ნინო არა კაბადოკიელია არამედ ჭანი.

# „თოლი მიყიყანა ქართშენო...”



ლიტერატურისმოყვარულ საზოგადოებისთვის (და არა მარტო მათთვის) 28 ივნისს ზუგდიდში ორი საინტერესო საღამო, თუ შეხვედრა (თქვენ რომელიც უფრო დაგიჯდეთ ჭკუაში, ის უწოდეთ, ან სულაც „თანამედროვედ – ფართი ან **„ივენთფართი”**) გაიმართა:

1. ჩვენს ქალაქს დათო ტურაშვილი სტუმრობდა და მისი წიგნის – **„მე რომ ფეხბურთელი ვიყო”** პრეზენტაცია ჩატარდა.

2. მწერალ შუკო ჯიქიას კი 66 წელი შეუსრულდა და მისი დაბადების დღე აღინიშნა არტგალერეაში. სამწუხაროდ, რადგან მგლოვიარე ვარ და ხალხმრავალ თავყრილობებს ვერიდები, მე არც პირველ ღონისძიებას დავსწრებივარ და არც მეორეს. იმ საღამოსვე ადგილობრივმა ტელეარხმა **„ოდიშმა”**ვრცელი არა, მაგრამ რამდენიმეწუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა დათო ტურაშვილს, შუკოს თაყვანისმცემლებს კი **„პირში ჩალა გამოგვავლო”...** ვერაფერს შეედავები: კერძო არხია. უნდა, გააშუქებს დღის მოვლენებს პატიოსნად, მიუკერძოებლად და თანმიმდევრულად, უნდა – **„ზოგ რამეზე”**დამუნჯდება და **„თვალებს დაივსებს”,** ვინემ რამეს იტყვის. იგივე შემიძლია ვთქვა ადგილობრივ პრესაზე, რომელიც უსახსრობისგან სულს ღაფავს, ორ კვირაში ძლივს ერთხელ გამოდის და მაშინაც, რა თქმა უნდა, კომერციულ გათვლებზეა ორიენტირებული.... როცა 2015 წლის ბიუჯეტი მტკიცდებოდა, გაზეთ **„ზუგდიდს”**დაფინანსებაზე უარი უთხრეს (ნაწილობრივზეც) და **„მებრძოლის”** მემკვიდრეობაც კი წამოაყვედრეს ზოგიერთებმა. რატომღაც. საკრებულოს წევრები აპელირებდნენ იმ მოსაზრებით, რომ, თუ დააფინანსებდნენ, დაფინანსებულ გაზეთს აუცილებლად გუნდრუკი უნდა ეკმია დამფინანსებლებისთვის (ანუ ადგილობრივი თვითმართველობისთვის). სამწუხაროა, რომ ასე ფიქრობენ და ასე **„ეფიქრებათ”**ზოგიერთებს. ბიუჯეტი არ არის ვინმე **„ერთის ჯიბე”.** ბიუჯეტიდან გაზეთის დაფინანსება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამფინანსებლის მეხოტბედ იქცეს გაზეთი. მას სხვა დანიშნულება აქვს: ვრცლად გააშუქოს ისეთი საღამოები, როგორიც შუკოს საღამო იყო გუშინ და რომელსაც წაუყრუა კერძო არხმა. დაწეროს და გააცნოს საზოგადოებას, ღვაწლმოსილი ზუგდიდელები, წარმატებული ადამიანები, ხელოვნების მუშაკები: მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები, მოცეკვავეები... ჩვენი სახელოვანი თეატრი და თეატრალური დასი, დამსახურებული პედაგოგები... (მაგალითად, ნუთუ მეორე საჯარო სკოლის გეოგრაფიის ყოფილ მასწავლებელს, ას წელს მიტანებულ მხცოვან ქალბატონს, პატივცემულ კლიმენტინა როგავას არ ეკუთვნის, რომ თუნდაც მოკლე რეპორტაჟი მიუძღვნას ადგილობრივმა ტელევიზიამ და ჟურნალ-გაზეთებმა?! მისნაირნი კი, მადლობა ღმერთს, უამრავნი არა, მაგრამ ბევრი გვყავს კიდევ ზუგდიდში) დამსახურებული სპორტსმენები, საპატიო ზუგდიდელები... ადამიანები, რომლებიც ჩვენს გვერდით პატიოსნად შრომობენ და ზუგდიდის ხვალინდელ დღეს ქმნიან... სტუდენტები, აფხაზეთის ომის გმირები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები... მრავალშვილიანი დედები... აი, ხომ ხედავთ, რამდენია საწერი, რამდენი ვინმესთვისაა მოსაფერებელი, რეპორტაჟი გასაკეთებელი. გარდა ამისა, ხალხს ისიც აინტერესებს, როგორ მუშაობს თავის მიერ არჩეული ხელისუფლება, როგორ ცხოვრობენ საჯარო მოხელეები, როგორ ხარჯავენ ბიუჯეტს, რაში და რატომ? თავისუფალი მედიის გაკონტროლების მცდელობა **„დაფინანსებით”**იგივეა, აკონტროლო სასამართლო, მოსამართლე... მეოთხე ხელისუფლებამ საჯარო მოხელეთათვის სარკის ფუნქცია უნდა გასწიოს... როგორც სარკეში, ისე უნდა ჩანდეს **„საქმენი თქვენი”**პრესასა და ტელევიზიაში. ასეთი სარკე კი ვერასოდეს იქნება კერძო გაზეთი და კერძო რადიო-ტელევიზია. ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი არხი – სამეგრელოს სახელმწიფო ტელევიზია და საზოგადოებრივი გაზეთი... რაც, მე თუ მკითხავთ, მეტად საშურია. ეს ერთი, ახლა – მეორეც:

დღეს სოციალური ქსელები აჭრელებულია დათო ტურაშვილის **„ზუგდიდური შეხვედრის”** კადრებით. ხალხმრავალიც ყოფილა შეხვედრა და უამრავი ფოტოც გადაუღიათ ზუგდიდელებს საყვარელ მწერალთან. დათო ტურაშვილი მეც ძალიან მიყვარს, არც ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობის წესებია ჩემთვის უცხო. მესიამოვნა, რომ ასე მოფერებიხართ სტუმარს, სიტყვის ოსტატს, მაგრამ.... ვერ ვნახე პატარა ნიუსიც კი, სადაც შუკოსთან შეხვედრაზე იყოს საუბარი. არც შუკოსთან გადაღებული სურათებით **„გადაუძეძგია”**ვინმეს **„ფეისბუკი”...** ასე ხომ არ გვემართება: **„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო?!”...** თავმდაბალი და ხშირად **„სულ სხვა განზომილებაში”**მყოფი პოეტი, ჭიქა არყით შექეიფიანებული რომ გვხვდება ქუჩის გადაკვეთებზე, ნეტა ეს ხომ არ **“გვიუბრალოებს”**მას და ხომ არ ვფიქრობთ, რომ... შუკო ჩვეულებრივი მოკვდავია ჩვეულებრივთა შორის.... არ შევცდეთ, მეგობრებო!. თავის დროზე ტერენტი გრანელი გიჟი ეგონათ და კანდიდ ჩარკვიანი ფიქრობდა, რომ უკვდავების დროშა მას, კანდიდს მიჰქონდა, ეპოქისა... ტერენტისთვის გიჟის ხალათი ემეტებოდა მხოლოდ... გავიდა დრო და... პირიქით კი ყოფილა თურმე... სამწუხაროდ, თვით გალაკტიონიც კი ლოთი ეგონათ მხოლოდ და... ცნობილი ფაქტია, რაღა მე შეგახსენოთ, მისი გარიცხვაც კი უნდოდათ მწერალთა კავშირიდან.

ამ ყველაფერს მე **„ვდუდღუნებ”**თორემ ისიც ფაქტია, რომ შუკოს, მეპატიოს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, სულ **„ჩლიქზე”**კიდია დაბადების დღეებიც და ისიც, ვინ როგორ დააფასებს, პირიქით: ჭირივით ეზარება ყოველივე პომპეზური. პრინციპში, შუკოს არც დამფასებლები აკლია და არც სიყვარული. სხვა რომ არაფერი, მისი ეპატაჟური, მაგრამ ბასრი სიმართლის ამსახველი (მხატვრულ ღირებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ) პოეზია თითქმის, მთელმა ზუგდიდმა იცის ზეპირად. უბრალოდ... როგორც მითხრეს, თურმე, შუკოს შეხვედრისთვის იმიტომ ვერ მოიცალეს ფრიად პატივსაცემმა **„მეგობრებმა”**ქალაქის მაღალი ეშელონებიდან, ტურაშვილთან ვახშამზე მიბრძანდებოდნენ ერთერთ რესტორანში. ამან კი ბატონ შუკო ჯიქიას ერთი ლექსი გამახსენა ისევ. აი, ნაწყვეტიც:

**„თოლი მიყიყანა ქართშენო,**
**დუც მიკობდვანთუ ძალო,**
**მის მუშო ვოკოთ ხორცო დო,**
**მის მუშო ვოკოთ ძვალო”?!.**

**ფატი ნაჭყებია**

# მირიან ქართველის პოეტური მსოფლმხედველობა

**„რადგან თვით იესო მოწმობდა, რომ**
**წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში**
**არა აქვს პატივი. (იოანე 4,44) მათე 13,57**
**ლუკა 4,24 მარკ. 6,4)**

ხორცის სხეულში მყოფი დედამიწიერი ადამიანი ცნობიერი საწყისი მინიმუმიდან, მაქსიმუმისკენ მიილტვის რასაც რელიგიური თვალსაზრისით ღმერთთან მიახლოება და გაიგივება ქვია, რომლის აღსრულებასა და განხორციელებას კოლოსალური დრო და ვადები სჭირდება.

ყოველი გონებრივი სიახლისა და პროგრესის მომტანი ადამიანი მიწიერი ყოფითი ჩვეულებებიდან გამომდინარე ვერ ეტევა ხალხთა მასის უმრავლესობის ცნობიერების ჩარჩოში, ზოგ შემთხვევაში ასეთი ადამიანები მრავალთათვის შეუმჩნეველნი და შეუცნობილნი რჩებიან თავიანთი თანამედროვეთათვის, მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ გვევლინებიან ისინი გენისოებად.

თანამედროვე ეპოქის ბოლო პერიოდში, კერძოდ საქართველომ მრავალი მოაზროვნე და გენიოსი ადამიანი მოავლინა მსოფლიოს, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენენ.

სხვა მრავალ გენიოსს ადამიანებთან ერთად ჩვენს გვერდით ცხოვრობდა თითქმის ჩვეულებრივი ადამიანი. თავის სამშობლოში დევნილი, საკუთარი სახლ-კარი და პირადი ქონება, შევარდნაძის მთავრობის მიერ ცეცხლად ქცეული, თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი ჩვენი ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ მიმალვაში მყოფი, რომელმაც უდიდესი წუთისოფლური ტრამვების მიღების მიუხედავად შესძლო განეხორციელებინა თავისთავზე დაკისრებული ღვთაებრივი მისია.

საიდუმლო მეცნიერული რელიგიის (ბიბლია და სახარების) კოდური შიფრი გახსნა.

დასაბუთებული თეოლოგიური კვლევებით ოთხი ათასი წლით დამარხული ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა გვაუწყა.

ქართული სამება ენასა და ანბანის საკრალურ მნიშვნელობაზე და ზოგადად, ადამიანის და მის გარშემო არსებული უსასრულო კოსმოსის შესაცნობი და აღმქმელი ცამეტი (13) წიგნად შესრულებული მეცნიერულ-რელიგიური ნაშრომები დაგვიტოვა და ა.შ

– ძვირფასო მკითხველო, თქვენის ნებართვით გთავაზობთ ამ გენიალური ადამიანის, აწ განსვენებულ, ბატონ მირიან ქართველის (ლატარიას) ლექსს.

**მურმან ხუბულავა**

## რუსთაველი

**შესაქმის წყაროს თავდაპირველში,**
**ქრისტემ დალოცვა შენი მარჯვენა,**
**ქართველთა ტაძრის სულის ბეთლემში,**
**ღმერთმა გიკურთხა ბულბულის ენა.**
**ქრისტეს მეორედ შენ დაიბადე,**
**ერებს აუნთე ზეცის ლამპარი,**
**ოქროს ენაზე მოქსოვე ბადე,**
**ნათელში ელვა როგორც ზღაპარი.**
**ასტრალის სულის ოკეანეში**
**სამების ხელით ისროლე ბადე,**
**ოქროს თევზების ცის სავანეში,**
**უფლის რუსთავთან შენ დაიბადე.**
**შვიდფერ სამთავროს შენ უგალობე,**
**ვეღარ შეგიცნეს მიწის ლომებმა,**
**სამების წყარო შენ გვიწყალობე,**
**ქედი დახარეს ლექსთა ტომებმა.**
**ჩვენი ტაძარის სულში ენთები,**
**შენ გიმღერებენ ყველა ერები,**
**სიტყვის პოემად შენ გაღმერთებდი,**
**ხალხში დარჩები მზე უბერები.**
**შვიდი სამთავროს ერის შვილი ხარ,**
**ქართველთა სულში არწევ სამყაროს,**
**მარადისობის უკვდავი ხე ხარ,**
**მისი ტანიდან გვასმევ ცის წყაროს.**
**შენ ბერმუხა ხარ, იბერთა ბერი,**
**სამყარო ტაძრის სულთ მონაბერი,**
**დაგვლოცავს ტომი, ერი და ბერი,**
**ყველა კაცთბრძენი, სვებედნიერი.**
**აჰა, ინგრევა ქაჯთა სახანო,**
**კაშკაშა ალად ელავს ივერი,**
**როს დაემხობა დევთა სახანო,**
**ქრისტეს გზით წავა ქართველი ერი!**

მ. ქართველი

## პოეზიის კუთხე

*სათრევველა*

### ოდისეიდან ოდესამდე!

შემომჯდარი იახტაზე,
თუმცა კოლხეთს მიახტა ზედ,
არ აუხდა მაინც ნატვრა.
არ დაუდგეს ფიანდაზი
და ზღვაც შერჩა იმ ანდაზით,
რაც შეემთხვა ძეხვთან კატას.

შიშით ფეხი დარჩა უკან:
– ვახ, თუ უკან მასაც უკრან,
რაზეც ხალხი კივის ამდენს!
– იანკი კვერს მაინც უკრავს,
მიტომ დასდევს ყველა ძუკნა
ოდესიდან კიევამდე!

ალექსანდრე შენგელია

### ჯამბუ ბებია

#### აია

ბორჯღალით მოვქარგე კვირბები ეფუთის.
დავკარგე.
ვემხილე.
მზეს ყოველ ვუთხარი.
აიას მიარწევს თანაფა თუთაპირ.
ნაკორიბანტალს აღარა უხარის.
ჩემს ონძეს შუაგულ
კაჟიქვა ვიძიე.
ჟამს ამად უტყვი ვარ, არაით ენამზე.
ნძე მალიმურმა შევმართე ლაბაშა.
ჯერ კიდევ ვკიჟინებ წარღვნამდელ ენაზე.
ნისლი დევს ეგეოსს,
გემიწა ცივმწარებს.
წარბდახრილ შევყურებ ზეზეულმწუხარი.
აჰანგდა ნენანა სიმღერით ნეშკარის.
კრეტასპირ ატირდა კოლხური ფუტკარი.
ფარულად გმიოდა
ქვესკნელის ძახილი.
შარაზე დიოდა ეშმაკის მარხილი.
ქრის – პოლემიკა,
აქაო – კეთილი?..
წვიმს რომანტიკა ძარღვებში ფლეთილი.
გაჰყევით სიბნელეს სიავის შვილებო;
აქა გაქვთ რა ხელი,
ქვედაგეშილებო.
სატანის ტაიჭებს
სადავე უკავეთ.
ეჰეი, გაჰქუსლეთ! ოღონდა უკანვე!
დაიხით,
დაიხით!
აია იხევა.
(ხარის ტყავს გავახევ,
გადარჩეს იქნება).
ვაბნიე ანბანი, სიმხდალედ ნუ მითვლი.
ვცოდვილობ განგბანო მოთმენით, დუმილით.
ნათელს ვძენთ დაბინდულს, თუ კი შენ წამოხველ,
გაც-გაიმს შეჰბედე,
იბერო, უარი.
ვიხილავთ ცამთოვარს ყოველი უხარის,
ჩავიცმევთ
წყანისტოტ დაკიდულ სამოსელს.
ნეტავ, რას გვპირდება სამხილი საწყისის.
თვლემს
ჭეშმარიტება და ოქროს საწმისი.

ზურაბ კვარაცხელია

### ბორჯი მეურც

ბორჯი მეურც, მიკმოჩენდუ.
მინშა თუნდუ, მინშა ჭვენდუ.
მუდგა უჩათ მიბძირენი,
ამჭუანი ირფელ ჩე რდუ.
დიხას მუთუნ ქოფორჩუდ-და,
თინეფ ხოლო არძა გერდუ.
ირიათონ მიკიბლი დო –
მუშ მასქვამა შურიშ ვე რდუ.
მუზმა ქორე თე ქიანას,
იძინანც დო დღას ვერდუ.

ზაალ ჯალაღონია

# “ჩემი ინფორმაციით, რესპუბლიკური პარტია დატოვეს ინტელექტუალურმა ახალგაზრდებმა”

პარლამენტის თავმჯდომარე ყველა დაინტერესებულ მხარეს მოუწოდებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს შსს-ს რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის განხილვაში. როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, ხორციელდება სამართალდამცავი სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა და მზად არიან, ყველა დასაბუთებული მოსაზრება გაიზიარონ.

**„ბოლო მოეღება ე.წ. ოდეერების ინსტიტუტს. ის არ იქნება არანაირი სახელით – გინდ ერქვას ოდეერი, გინდ უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერი. მთელი კონტროლის სისტემა იქნება ნათელი, ღია, ფუნქციები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული და არ იქნება გადაფარვები და პარალელიზმი სხვადასხვა უწყებებს შორის. ახალი სამსახური მოემსახურება სახელმწიფოს და არა მმართველ პოლიტიკურ ძალას“,** – ეს განცხადება კი ვახტანგ ხმალაძემ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით გააკეთა.

ჩვენი ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილისა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის ამ განცხადებებს წინ უძღოდა მათი შეხვედრა ექსპერტებთან.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, დახურულ შეხვედრაზე უსუფაშვილმა და ხმალაძემ საკუთარი წუხილი გამოთქვეს როგორც საარჩევნო კოდექსის, ასევე შსს-ს და პროკურატურის რეფორმის საკითხებზე. **„ამ დროისთვის რესპუბლიკელებისთვის წარმოუდგენლად გაუგებარია უფრო მეტი ლტოლვა ხელისუფლებისკენ“,** – ამბობს წყარო და არგუმენტად მოჰყავს უსუფაშვილის უარი, მისთვის შეთავაზებულ პრემიერ-მინისტრის პოსტზე. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ამ დროისთვის რესპუბლიკელების ძირითადი სატკივარი საკუთარი პარტიის პერსპექტივაა, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ რესპები რეალურად აფასებენ საკუთარ ძალასაც და იმ საფრთხეებსაც, რაც იმ შემთხვევაში გაჩნდება, როგორც კი, მათი რიგებიდან, ვინმე საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, დღევანდელი პოლიტიკური სასწორის აყირავებას შეეცდება. უკავშირდება თუ არა რესპუბლიკელების შფოთვა კულუარულად გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, პარტიის რიგები დატოვეს ინტელექტუალურმა ახალგაზრდებმა, ჩვენთვის უცნობია. თუმცა, საქმეში ჩახედული ადამიანები ირწმუნებიან, რომ რესპუბლიკელები არ სჯერდებიან მიღწეულს და ახლა, თვალი ძალოვანი სტრუქტურების მინისტრების პორტფელებისკენ გაურბით. სწორედ, მათ ამ ამბიციებს უკავშირებენ რესპუბლიკელების ფერიცვალებას და მათ დამთმობ პოზიციებს რეფორმებთან დაკავშირებით, რაც პარტიიდან ახალგაზრდების გადინების საბაბი გახდა.

**„რესპუბლიკური პარტიის“** ზოგიერთი ლიდერის და პარლამენტის თავმჯდომარის სიფრთხილეს დაგვიანებულს უწოდებს იურისტი, ატლანტიკური საბჭოს წევრი, ლევან ალაფიშვილიც, რომლის განცხადებით, ხელისუფლებამ არ გაიზიარა ატლანტიკური საბჭოს კვლევის შედეგები და რეკომენდაციები.

რას უკავშირდება პარლამენტის თავმჯდომარის მოწოდება, შსს-ს რეფორმირების საკითხში ჩაერთოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე და რეალურად, რა ხდება რესპულიკურ პარტიაში? ამ საკითხებთან დაკავშირებით **ლევან ალაფიშვილს** ვესაუბრეთ.

**ლევან ალაფიშვილი:** კარგი იქნებოდა პარლამენტის თავმჯდომარე ასეთივე მოწოდებით და მხარდაჭერით გამოსულიყო მაშინ, როდესაც ჩვენ, ატლანტიკურმა საბჭომ კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მივაწოდეთ ხელისუფლებას. ეს მოხდა შარშან ზაფხულში. მაშინ, ერთიანად დაგვესხნენ თავს და გვითხრეს, რომ რაღაც არაჯეროვანს და მიუღებელს წერენო. დღეს სიტუაცია შეიცვალა და როგორც ჩანს, პოლიტიკურად და ამითაც არის ნაკარნახევი უსუფაშვილის ეს განცხადებაც. რაც შეეხება მოტივაციას და შესაძლო ცვლილებებს, ბუნებრივია, პარლამენტი ფორსირებულად განიხილავს ამ კანონპროექტს და ეჭვი მაქვს, რომ ფორსირებულად განიხილავს სწორედ იმიტომ, რომ მას მოჰყვება ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამ წელსვე უნდათ ამის დასრულება, იმიტომ, რომ დასაგეგმია მომავალი საბიუჯეტო წელი და უნდათ, რომ ახალი სამთავრობო სტრუქტურით დაიგეგმოს. ამის პარალელურად, რესპუბლიკელების ამბიცია იზრდება.

**– ამბიციის ზრდაში რას გულისხმობთ?**

– როგორც მე მაქვს ინფორმაცია, სპეცსამსახურს, ანუ ახლად შექმნილ სააგენტოს პრემიერი პრინციპულად არ დაუთმობს არავის კოალიციიდან, მაგრამ რაც შეეხება რეფორმის შემდგომ შსს-ს, რესპუბლიკელი გიგლა აგულაშვილი, შესაძლოა, იყოს ის კანდიდატი, რომელსაც ლობირებენ რესპუბლიკელები. გარდა ამისა, როგორც მაქვს ინფორმაცია, თვითონ პარტიაში არის გარკვეული უთანხმოება და ძირითადად ეს თვალში საცემია რეგიონებში. იმ ფონზე, როდესაც კოალიციის სხვა სუბიექტები თავის პარტიის წევრებზე თუ მხარდამჭერებზე უფრო მეტად ზრუნავენ, რესპუბლიკელები ამ მიმართულებით არ აქტიურობენ, ბუნებრივია, რომ ამას მოსდევს უკმაყოფილება. ბოლო ინფორმაცია რაც მაქვს, გახლავთ ის, რომ რესპუბლიკური პარტია დატოვეს საკამოდ ინტელექტუალურმა ახალგაზრდებმა. პარტიაში ასეთი მოვლენები უცხო არ არის, მაგრამ რესპუბლიკელებისთვის ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ ეროვნული ბანკის უკანონობიდან გამომდინარე, მათ ურთიერთობა გაიფუჭეს დასავლეთთან.

**– სად ჩანს, რომ დასავლეთთან გაიფუჭეს ურთიერთობა? ფაქტია, რომ რესპუბლიკელები ხელისუფლებაში ერთ-ერთ პროდასავლურ ძალად არიან ცნობილი...**

– გეთანხმებით, მაგრამ როდესაც 23 ივნისს სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ ქვეყნის მეორე პირს, დავით უსუფაშვილს, იქიდან გამოსულებმა კომენტარი არ გააკეთეს. 24 ივნისს ამ ორ კრედიტორს დაემატა კიდევ ორი კრედიტორი. ოთხმა უმსხვილესმა კრედიტორმა, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს საკრედიტო დავალიანება 2 ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს, წერილობით დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ. ეს ხდებოდა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრიდან მეორე დღეს. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რესპუბლიკელებს ქვეყნის შიგნით მხარდაჭერის სიმცირის კვალობაზე, შედარებით მეტი მხარდაჭერა ჰქონდათ დასავლეთში და თუ ამასაც დაკარგავენ, ქვეყნის შიგნით დარჩებიან ერთი პოლიტიკური ძალის შემხედვარე. პარტია **„ქართულ ოცნებას“** ან მის რომელიმე მაღალჩინოსანს უნდა შესციცინებდნენ თვალებში, რას გაიმეტებენ მათთვის, ეს არის ის პერსპექტივა რაც დღეს არის და ხვალ რა იქნება, ამას ვერ გეტყვით.

**– რითი ხსნით რესპუბლიკელების ამგვარ პოზიციას?**

– როდესაც კოალიციაში როლებს და ფუნქციებს ინაწილებ, ბუნებრივია, რომ ინაწილებ პასუხისმგებლობასაც. სავარაუდოდ, რესპუბლიკელებს მოუწიათ მათივე ფასეულებების და პრინციპების წინააღმდეგ კომპრომისზე წასვლა, რის გამოც გაიმყარეს პოზიციები კოალიციაში და მთავრობაში.

**– ერთი მაგალითი დამისახელეთ იმის, რაზეც მოუწიათ პრინციპულ პოზიციაზე უარის თქმა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაემყარებინათ პოზიცია კოალიციაში?**

– 2006 წელს შექმნილი აქვთ ასეთი დოკუმენტი – რესპუბლიკური არჩევანი, რომელშიც მოცემულია ყოფილი ხელისუფლების სამართლიანი კრიტიკა და ამავე დროს მათი ხედვები, როგორ ხედავენ მომავალ განვითარებას. ამ ხედვაში წერია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ გაფლანგა საზოგადოების ნდობა, საკუთარი კეთილდღეობისთვის და ფუფუნებისთვის უფრო მეტს იბრძოდა, ამავე დროს კონსტიტუცია, კანონმდებლობა და ინსტიტუციები ფიქციად აქციაო.

დღეს რა ხდება, სხვა მოვლენებზე რომ არაფერი ვთქვათ, იგივე პრეზიდენტზე თავდასხმაში მათი აქტიური მონაწილეობა, ეროვნულ ბანკთან მიმართებაში კანონის საკუთარ თავზე მორგების პროცესში მონაწილეობა, ეს რა არის? დიახ, რომ რესპუბლიკელი ებანოიძე იყო ამ პოლიტიკურად მოტივირებული კანონპროექტის ავტორი. რაც შეეხება პოზიცების გამყარებას, მხედველობაში მაქვს პარლამენტში საკომიტეტო თანამდებობები და ამავე დროს, მთავრობაში მნიშვნელოვანი პოზიციები. ისინი თვლიან, რომ კომპრომისები ამად ულირთ. თუმცა, როგორც ჩანს, ასე არ თვლიან პარტიის წევრები, რის გამოც პარტიის შიგნით არასახარბიელო პროცესები მიდის.

**– თქვენ, უკვე აღნიშნეთ, რომ „რესპუბლიკური პარტია“ დატოვეს მისმა წევრებმა, თუმცა ამას ოფიციალურად არ ადასტურებენ. თქვენი ინფორმაციით, რამდენმა ადამიანმა დატოვა პარტია?**

– ეს იცის ორმა მხარემ, ვისაც მიმართეს და მათ, ვინც მიმართეს პარტიიდან გასვლის შესახებ. ვერ გეტყვით რამდენმა დატოვა, მაგრამ როგორც გადმომცეს და ასევე ეს ვიცი პარტიის იმ წევრებისგან, რომლებმაც უკვე დატოვეს **„რესპუბლიკური პარტია“**, რომ ეს ციფრი საკმაოდ დიდია. მინდა გითხრათ, რომ პარტიის აწ უკვე ყოფილი წევრები წუხან ამის შესახებ.

**თამთა ქარჩავა**

**ინტერნეტსაიტი ფორ.გე**

# შესაძლებელია ISIS-ი უკვე კავკასიაშია: რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, რომ საფრთხეს შეებრძოლოს



**“ისლამური სახელმწიფოს”** საფრთხე საქართველოში და კავკასიის რეგიონში დღითიდღე იზრდება. ტერორისტულმა დაჯგუფებამ უკვე ღიად განაცხადა კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ. დაჯგუფების პრესსამსახურის ხელმძღვანელის, აბუ-მუჰამად ალ-ადნანის თქმით, **“ისლამური სახელმწიფოს”** ჯარისკაცებმა კავკასიაში ხალიფასადმი ერთგულების ფიცი დადეს. აღნიშნული ინფორმაცია ამერიკულმა **“ომის შესწავლის ინსტიტუტმაც”** დაადასტურა და განაცხადა, რომ **“ისლამური სახელმწიფოს”** ახალი ვილაიეთის დაარსება ჩრდილო კავკასიის, კერძოდ, რუსეთის ტერიტორიაზე უკვე მოხდა.

რამდენად რეალური და საფრთხის შემცველია ისლამისტი რადიკალების აღნიშნული ქმედება? და რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, რომ აღნიშნულ საფრთხეს შეებრძოლოს? კონფლიქტოლოგი ლევან გერაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს წინააღმდეგ **“ისლამური სახელმწიფოს”** მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების საფრთხე დღეს არ არის. თუმცა, სამომავლოდ არ არის გამორიცხული, რომ რადიკალების მხრიდან მსგავსი ოპერაცია მზადდებოდეს.

**“რადიკალიზმის საფრთხე ყოველთვის არსებობს, განსაკუთრებით იქ, სადაც სხვა პრობლემებია – სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. ჩვენს რეგიონშიც არის ეს პრობლემები. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იმუშავებს ის ძალები, რომლებსაც ევალებათ ამ საფრთხეების განეიტრალება და რამდენად მოწადინებულები იქნებიან ის ძალები, რომლებიც შეეცდებიან იმარატის ჩამოყალიბებას”,** – აღნიშნა ლევან გერაძემ.

ე.წ ისლამურ სახელმწიფოს საქართველოსთან პირდაპირი საზღვარი არ აქვს, თუმცა, ისინი არც ისე შორს არიან საქართველოსგან. მით უმეტეს, რომ რადიკალი ისლამისტები უკვე მიუახლოვდნენ თურქეთის საზღვარს, ახლახან ისინი ქალაქ ქობანიში შეიჭრნენ, რომელიც თურქეთ-სირიის სასაზღვრო ქალაქს წარმოადგენს. ამგვარად საქართველომდე მოღწევისთვის ტერორისტულ ძალებს ისეთი დიდი ქვეყნის გამოვლა მოუწევთ, როგორიც თურქეთია. ექსპერტების მოსაზრებით, თურქეთი მათ ასე მარტივად ამის საშუალებას არ მისცემს.

რადიკალიზმის და **“ისლამური სახელმწიფოს”** გაძლიერების საფრთხე ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაცილებით უფრო დიდია.

**“ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე არსებობს “კავკასიის იმარატი”, რომელიც ჩეჩნეთის დღევანდელ ხელისუფლებას ებრძვის, თან იქ ტერორისტული საფრთხეც არსებობს, ამიტომაც ბუნებრივია, იქ ნაკლებად კონტროლირებადია ამ მხრივ ვითარება”,** – აღნიშნა ლევან გერაძემ.

რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ისლამისტების საფრთხეს გაუმკლავდეს? **“ისლამური სახელმწიფოს”** ბოლო განცხადებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ვახტანგ კაპანაძე გამოეხმაურა.

**“ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც “ისლამურმა სახელმწიფომ” განაცხადა კავკასიის ემირატის შესახებ. უდავოა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია არის საფრთხე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენ, როგორც მთელი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, ასევე განვიხილავთ “ისლამურ სახელმწიფოს” საფრთხედ. არსებობს შესაბამისი ორგანოები, მათ შორის შეიარაღებული ძალები თავისი წილი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომლებიც ამუშავებენ სცენარებსა და გათვლებს. “ისლამური სახელმწიფოს” მოქმედებები უყურადღებოდ არ რჩება”,** – განაცხადა კაპანაძემ.

კონფლიქტოლოგ ლევან გერაძის თქმით, საქართველოს მთავრობამ სათანადო ღონისძიებები უნდა გაატაროს იმისათვის, რომ ისლამისტების თავმოყრა საქართველოს ტერიტორიაზე არ მოხდეს:

**“საჭირო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, რაც პირველ რიგში არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრებას და საგანმანათლებლო პროგრამის უკეთ განხორციელებას გულისხმობს, პრევენცია შესაძლებელია. ბუნებრივია, სამართალდამცავმა უწყებებმა თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით უნდა გაააქტიურონ”.**

რამდენიმე კვირის წინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველო რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ და ტრანზიტულ ქვეყნად. დოკუმენტში ასევე საუბარია სირიასა და ერაყში **“ალ-ქაიდასა”** და **“ისლამური სახელმწიფოს”** მხარეს საბრძოლველად საქართველოდან წასულ ახალგაზრდებზეც. სხვადასხვა ინფორმაციით, აჭარიდან და პანკისის ხეობიდან 50-დან 100-მდე ქართველია წასული ტერორისტების მხარდასაჭერად. **“ისლამური სახელმწიფოს”** ერთ-ერთი ლიდერი, თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ-შიშანიც სწორედ პანკისელია.

**თამთა ჯიჯავაძე**

# სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგსის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ლეჩხუმის ფეოდალური სენიორია ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში

XVII საუკუნის პირველ ნახევარში, და კერძოდ, 1629 წლის ახლო პერიოდში, ჭილაძეების გავლენა ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. ლომკაც ჭილაძის ზემოთ დამოწმებულ შეწირულების წიგნზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭილაძეების სამფლობელო 1629 წლის ახლო პერიოდში, მართლაც გადადიოდა მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს და მისგან საკმაოდ მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთითაც ვრცელდებოდა. სოფელი ეკი მდებარეობს შხეფის ჩრდილოეთით, დაახლ. 15 კმ დაშორებით. მისი მფლობელი სწორედ ლომკაცია, რომელიც თავის ყმებს **„მათითა სახლკარითა, ჭურმარნითა, ეკლესი(ი)ს კარითა, ტყითა, ველითა, შესავალითა და გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა“,** სწირავს ბიჭვინთის ღვთისმშობელს. ამასთანავე, მიურთმევია **„სხუა მრავალი საქონელი“** (იქვე: 48). ამ მოსაზრებას ამყარებს ეკის თემის სოფელ საცხვიტავოში ტოპონიმ ნაჭილუს დამოწმება, რაც მდ. ციისა და გითოკირილიშ ღალს შუა მდებარე ბორცვის სახელწოდებად დაგვიდასტურეს. გადმოცემით, ეს ადგილი ჭილას, ჭილაძის ნასახლარი ყოფილა.

მამუკა ჭილაძის 1616-1639 წწ. დათარიღებულ შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, რომ მას და მის შვილს ბააკას ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეუწირავთ **„ეწერშიდ ერთი გლეხი ნასხიდაი კალანდაძე და ჭანგას უმცროსაი რუხვაძე“** (კაკაბაძე I, 1921: 51).

ბეჟან დადიანის 1714 წლის შეწირულობის წიგნი გვამცნობს, რომ ჭყონდიდლად ევდემონ ღოღობერიძის კურთხევის შემდეგ უდროობით დაკარგული საჭყონდიდლოს მამულები – **„ანჯელი და კოდორი გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ“**, შენაწირი დავთრები განგვიახლებია და კვლავ ეკლესიისათვის შეგვიწირავსო (კაკაბაძე I, 1921: 113). კაცია დადიანის 1760 წლის შეწირულობის წიგნში საჭყონდიდლოდ სახელდებული საეკლესიო მამულის არეალი უფრო დაკონკრეტებულია: **„...რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გაღმართი, კოდორი, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძეს შეეწირა“** (კაკაბაძე II,1921: 13). ირკვევა, რომ ცხენისწყალსა და ტეხურს შუა მდებარე ტერიტორია, აგრეთვე მდ. რიონის მარცხენა მხარე **(„სულ გაღმართი“)** ოდითგანვე საჭილაოდ იწოდებოდა და შემდეგ **„პირველ ჭილაძის შეწირული“** ჯერ კაცია დადიანის ბაბუას, ხოლო მოგვიანებით – თვით კაციას, ეკლესიისათვის შეუწირავს. ასეთივე ცნობა დაცულია სოლომონ II-ის მიერ 1798 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი მიცემულ წიგნში (კაკაბაძე II,1921:114).

საჭილაოს საზღვრების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ტოპონიმური მასალა – გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებანი (კეკელია 2014: 16).

ეს ტოპონიმებია: ჭილაიაშ ნოხორი – 1. სახნავი საგაბლაიოში (ქ. აბაშა); 2. ტყე საგვიჩიოში (ზემო ჭალადიდის თემი); ტოპონიმები მიუთითებს, რომ ეს ადგილები უწინ ჭილაძის ნასახლარი ყოფილა; ნაჭილაუ – 1. ტბა-ჭაობი (გამოღმა ზანათი, სუჯუნა); 2. მინდორი გეზათში. გ. ელიავა ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და განმარტავს, რომ აქ მცხოვრები ჭილაიები შემდეგ ამოწყვეტილან (ელიავა, 1977: 20); ჭილური – ტყე გაღმა ზანათში; გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს ძველი აბაშისა და ზანათის **„სასოფლო საბჭოების“** ტოპონიმთა ნუსხაში; ჭილური -ურ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია და ჭილაძისეულს, ჭილაძისთვის განკუთვნილს ნიშნავს; ნაჭილაო//ნაჭილაუ – 1. სახნავები ანჯერში, გაღმა კოდორში (კეთილარის თემი); გ. ელიავას წიგნში დამოწმებულია დაზუსტებული ლოკალიზაციისა და განმარტების გარეშე (ელიავა, 1977: 62). **„კეთილარის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში გვხვდება აგრეთვე ვარიანტი ნაჭიავუ, როგორც უბნის სახელწოდება, შემდეგი განმარტებით: ჭია (ჭილაია) სახლებულა აქ (იქვე: 64); 2. მინდორი საკუბესქუოში, ტეხურის მარჯვენა მხარეს (ისულა); ჭილაიაშ ნაშარუ – ნაგზაური გულეიკარში (კეთილარის თემი); **„კეთილარის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში ორგან გვხვდება ვარიანტი ჭიაიაში ნაშარუ **„ჭილაიას ნაგზაური“** და აღნიშნულია, რომ ეს გზა საჭილაოში (მარანში) მიდიოდა (ელიავა, 1977: 62). ნაჭილუ – 1. ბორცვი ციისა და გოკირილიშ ღალუს შუა, დობერასთან. გადმოცემით, აქ უცხოვრია თავად ჭილაძეს (საადამიო, საცხვიტავო); 2. ადგილის. გეჯეთში. გ. ელიავა მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. ნადოხორუ// ჭილეფიშ ნადოხორუ – საბალახო მარაგანის მარცხენა მხარეს (საოდიშარიო, ნოსირისთემი); დოხორე მეგრულ ენაში აღნიშნავს სასახლეს, დასახლებას, სამოსახლოს. ა. ქობალიას განმარტებით ნადოხორუ იგივეა, რაც **„ნასასახლარი, ნასახლარი, ნამოსახლარი“** (ქობალია, 2012: 503). ტოპონიმი მიგვითითებს ამ ადგილას ჭილაძეთა სასახლის უწინ არსებობას; საჭილაო – სოფელი; სოფ. მარნის უწინდელი ოფიციალური სახელწოდება; ჭიითი// ნაოჭკადური – ციხის ნაშთი მახათში (ვედიდკარის თემი). გადმოცემით, აქ ყოფილა ჭიას, ჭილაიას (ჭილაძის) გვაროვნული რეზიდენცია. გ. ელიავა ვარაუდობდა, რომ ეს ტერიტორია საჭილაოს ერთ-ერთი უბანი უნდა ყოფილიყო (ელიავა, 1977: 650); ნაჭიუ – გ. ელიავა მიუთითებს უბნის სახელწოდებად **„სამიქაოს სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში და აღნიშნავს, რომ აქ უწინ ჭილაიას გვარისკაცი სახლებულა (იქვე: 22); ჭილაიაშნაღუ **„ჭილაიასღელე“** – ღელე ნორიოში; სახელდების მოტივი ასეთია: **„ღელე ჭილაძის მამულზე დიოდა“;** ჭილაიაშ მამული//დიდიაშ მამული – მინდორი კეთილარის თემში. გადმოცემით, აქ ჯერ ჭილაძეებს ჰქონიათ ვენახი გაშენებული, შემდეგ – აზნაურ დიდიებს; ნამარანუ//ჭილაიეფიშ ნამარანუ – მინდორი კეთილარის თემში, სადაც მიუთითებენ ჭილაძეების ნამარნევს; ჭილორტი – საბალახო ზანათსა და ნოღოხაში. ეს ტერიტორია ჭილების, ჭილაძეების ძველთაძველი ნასახლარია; საჭია-ჭილაძეების უბანს ერქვა. ვასახელებთ გ. ელიავას მასალებიდან, რომელიც ტოპონიმს მიუთითებს ქალაქ აბაშისა და მისი მიდამოების ტოპონიმთა ნუსხაში (იქვე: 39); ეჭეიე//საჭილო – **„ძველი აბაშის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში დამოწმებულია ჭილების უბნის სახელწოდებად (იქვე: 29); ჭილაიაშ ნოხორიი **„ჭილაძის-ნასახლარი“** – ადგილი ზემო ჭალადიდის თემში (კეკელია, 2013: 213-215).

პროფ. ი. სიხარულიძის ვარაუდით, XVI საუკუნეში მოღვაწე გუსტან ჭილაძისა და მისი მემკვიდრის – ჯავახის რეზიდენცია ხევისწყლის ხეობის ზემო წელზე, სოფელ კოხნარის ცენტრში უნდა ყოფილიყო, რასაც აფიქრებინებს იქ ტოპონიმ **„სასახლის“** დადასტურება. მკვლევარი ასახელებს სხვა ტოპონიმებსაც: ჭილაძის ჭალა – სახნავი (ნაწილოფეთი); ჭილაძის ნატახტარი – მინდორი (დიდიოფეთი); ჭილაძის ნასაყდრი – წმ. გიორგის ნაეკლესიარი (დიდიოფეთი); ჭილაძის ღელე// ჭილაიცღელე – ჩხორონჭუას მარცხენა შენაკადი; გადმოცემით, აქ უწინ სათევზე აუზი მოუწყვიათ ჭილაძეთა გვარეულობის წარმომადგენლებს. თლილი ქვით ნაგებ აუზს, რაც 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძესაც უნახავს, **„ჭილაძის სათევზი“** ეწოდება (სიხარულიძე, გაზ. **„მახარია“,** 3, 6; მისივე, სიგკ, IV,1971: 131,132; სიხარულიძე, კეკელია **„მხარეთმცოდნე“** IV, 2013: 57)...

## ცხენისწყლის ხეობა

იაკობ რაინეგსი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ცხენისწყლის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე და აღნიშნავს: ჰიპოსი სვანეთის უმაღლეს მთებში, ფაზისის სათავესთან იწყება, გაივლის ლეჩხუმს, გამოყოფს სამეგრელოს იბერიისაგან (იმერეთისაგან – ი. კ.) და ტრედიის (სამტრედიის – ი. კ.) მახლობლად შეერთვის რიონს (რაინეგსი 2002: 120). ამასთანავე, რაინეგსმა იცის, რომ მდ. ჰიპოსს იმერლები ცხენისწყალს (ცხენის მდინარეს) უწოდებენ (იქვე: 121).

ცხენისწყალი სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასის მთის დასავლეთით, ზ. დ. 2710 მ სიმაღლეზე; გამოივლის ქვემო სვანეთს, ლეჩხუმს და კოლხეთის დაბლობზე, ტყვირის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ნაჩხეტაურისა და ქვიშანჭალის მახლობლად, მარჯვნიდან შეერთვის რიონს. ცხენისწყლის სიგრძე 176 კმ-ია. მდინარე ქვემო წელზე, სოფ. სუხჩედან ნაჩხეტაურამდე წარმოადგენს საზღვარს თანამედროვე ქვემო იმერეთსა და სამეგრელოს შორის, გასული საუკუნის 20-იან წლებამდე კი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები – დიდღვაბუნა, გორდი, ბანგვეთი, ნოღა და კინჩხა ჯერ ოდიშის, შემდეგ იმერეთის შემადგენლობაში იყო. ცხენისწყლის ქვემო წელზე, მარცხენა მხარეს მდებარეობს სოფლები: ხიდი, მათხოჯი, კონტუათი, დიდი ჯიხაიში, იანეთი, ნაბაკევი, ღანირი, ილორი, ჩხენიში, ხუნჯულაური, გვაზაური, პატარა ჯიხაიში, კვირიკე, მელაური და ქალაქი ხონი; ხოლო მარჯვენა მხარეს სამეგრელოს სოფლები: ზემო ხუნწი, ქვემო ხუნწი, ლეკვანტალიე, ლეხაინდრე, სტეფასდაბალი, ნაგებერუ, ონოღია, მაიდანი, სამიქაო, გეზათი, გულუხეთი, ქოლობანი, გაუწყინარი, მარანი და ქვიშანჭალა...

ვახუშტის ცნობით, ცხენისწყლის უწინდელი სახელწოდება თაკუერი//მდინარე თაკუერისა ყოფილა. თაკვერი//თაკუერი ერქვა ისტორიულ მხარეს დასავლეთ საქართველოში, რაც ძირითადად მოიცავდა ახლანდელ ცაგერის რაიონს. გ. მამარდაშვილის აზრით, ცხენისწყლის სახელწოდების ვახუშტისეული ფორმა **„მდინარე თაკუერისა“** ლეჩხუმის ხევის, ან გორდის მიდამოებისაგან, ე. ი. იმ ადგილის მიხედვით უნდა წარმომდგარიყო, სადაც ეს მდინარე მიედინება (მამარდაშვილი 2006: 16).

ჰიდრონიმ **„ცხენისწყლის“** ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს **„ქართლის ცხოვრების“** ცნობები. ხალხური გადმოცემა სახელწოდებას ამ მდინარეში მტრის მოლაშქრეთა ცხენების დახრჩობას უკავშირებს. კ. ჰანი იმოწმებს თვით ვახუშტის ცნობას და წერს: „Цхенисъ-цкали груз. отъ ცხენი цхени=лошадъ и წყალი цкали=река: лошадиная река. По летописи Вахушта въ этой реке утонуло 6.000 лошадей армии арабского полководца Мурванъ-Кру, при возвращении его над Анакофии (въ 646г. по Р.Х.); отъ него она получила такое название. Прежнее грузинское название было Такверь. Въ древности река называлась“ (ჰანი 1909: 153). ფიქრობენ, რომ ცხენისწყლის უწინდელი სახელი ცენისწყალი უნდა ყოფილიყო. მდინარისათვის სახელი უნდა მიეცა მის სათავესთან მდებარე სვანური სოფლის სახელწოდებას. ესაა ცანა ანუ ცენა (ჭუმბურიძე 1987:526). ცანა ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს ლენტეხის რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სოფელი ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე მდებარეობს და ლენტეხს 56 კმ-ით არის დაშორებული. ცანას თემი აერთიანებს სამ სოფელს: საკუთრივ ცანას, ზესხოსა და ყორულდაშს (ქსე XI, 1987:185). სხვათა შორის, ხონის რაიონის სოფლებში – გელავერსა და ღვედში მდინარის სახელწოდების პარალელურ ფორმად დადასტურებულია ცენისწყალი (საქ. ტოპ. II, 1999:168; III, 2003: 355), ხოლო იური სიხარულიძე ვაკე-იმერეთში (სამტრედიის რ.) სათესის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ ცენწყლისჭალას//ცხენწყლისჭალას // ხიდიჭალას (სიხარულიძე სიგკ, VI, 1982: 103). მიუხედავად ამისა, სახელწოდების ცენასთან ან ცანასთან დაკავშირებას ის დაბრკოლება ეღობება წინ, რომ ეს მდინარე ოდითგანვე ცხენისწყლად იწოდებოდა. ასეა იგი მოხსენიებული უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში. სწორედ ამის დასტურია მისი ბერძნული სახელწოდებაც - ჰიპპოსს (ჭუმბურიძე, იქვე; კირთაძე 2012: 94).

ო. ხუხუას მოსაზრებით, სახელწოდება **„ცხენისწყალი“** შინაარსობრივად მდინარის დინების ხასიათის გამომხატველია და შესაძლოა აღნიშნავდეს არა ცხენის, ან ცენის თუ ცანის, არამედ **„ცხენივით წყალს“,** ვინაიდან მდინარის სახელწოდების მეგრული შესატყვისია ცხენწყარი (ხუხუა XVI, 1972:20).

ცხენისწყლის არაოფიციალური პარალელური სახელწოდებებია ცხენიწყარი// ცხენ(იშ)წყარი// ცხენწყარი. ასე უწოდებენ მდინარეს მარტვილისა და აბაშის რაიონების სოფლებში. პროფ. ალ. ღლონტი ამ მდინარის პარალელურ სახელწოდებად ასახელებს ცხენწყარს (ღლონტი I, 1971: 98). საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ მარტვილის რაიონის სოფ. ხუნწში ცხენისწყლის// ცხენწყარის პარალელურად მდინარეს ქაჯიწყარს//ქაჯწყარს ეძახიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელწოდება **„ცხენისწყლის“** ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს **„ქართლის ცხოვრების“** ცნობები. აქვე უნდა ითქვას, რომ მდინარის სწრაფი დინების ცხენთან შედარების ტრადიცია, როგორც ჩანს, საქართველოსა და კავკასიის სინამდვილეში ცნობილი იყო. **„წინააღმდეგ შემთხვევაში,** – შენიშნავს ვახტანგ ითონიშვილი,– **ძალზე ძნელი ასახსნელია თუნდაც ჰიდრონიმ ცხენისწყლის გაჩენა, თუმცა გაურკვეველია ხსენებულ მდინარეს სახელწოდება პირველად ბერძნებმა მისცეს... თუ ეს უკანასკნელი ქართული სახელწოდების ჩვეულებრივ თარგმანს წარმოადგენს“** (ითონიშვილი 1989: 26).

მაშასადამე, მდინარის დინების თვალშისაცემი სისწრაფის გათვალისწინებით, ძალაუნებურად იმ ვარაუდამდე მივდივართ, რომ სახელწოდება **„ცხენისწყალი“** მდინარის განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდებაა და უნდა გავიაზროთ როგორც **„ბობოქარი, სწრაფი, გიჟმაჟი, მჩქეფარე, დაუდგრომელი ნაკადი“. ქაჯიწყარი//ქაჯწყარი ასევე მეტაფორული ჰიდრონიმია და აღნიშნავს „ქაჯივით შლიგინას, ქაჯისთვის დამახასიათებელი თვისების, ქაჯური ქცევის მქონე მდინარეს“.**

სახელდების ზემოთ მოხმობილი მნიშვნელობით გააზრების შემთხვევაში ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღნიშნავდა შემდეგს: **„აბაშასა და მარანს შორის ოცდაშვიდი ვერსის გავლას ექვსი საათი მოვანდომეთ. ვიდრე სოფელ მარანში ჩავიდოდით, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი, ანუ ცხენის-წყალი; ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს** (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.). **იგი თითქმის ისეთივე სიგანისაა, როგორც ფაზისი. მდინარე მარანს ზემოთ სანაოსნოდ გამოუსადეგარია, რადგანაც მის დინებას აფერხებს წვიმის შემდეგ კავკასიის მთებიდან მრავლად ჩამოტანილი უზარმაზარი ქვები, კენჭები და ხეები, რომლებიც ალაგ-ალაგ იყრიან თავს და პატარ-პატარა კუნძულებსა და რიფებს ქმნიან“** (გამბა 1987: 129).

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

*(გაგრძელება იქნება)*

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნონა და ნანა ალიოს ასულ ქობალიებს დედის

თინა დავითაია-ქობალიას

გარდაცვალების გამო

# "კიევური მაიდნის" საფრთხე ერევანში



**შარშან შემოდგომაზე სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა კონფერენცია თემაზე – "კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი".**

**კონფერენციაში სომეხ ისტორიკოსებსა დაპ ოლიტოლოგებთან ერთად საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა. დამსწრე საზოგადოებამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და კავკასიის რეგიონში "კიევური მაიდნის" განმეორების საფრთხეებზე იმსჯელა. კვირაზე მეტია, ერევანში ელექტროენერგიის საფასურის მომატების წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური საპროტეტო აქცია მიმდინარეობს. გამართლდება თუ არა ექსპერტების ვარაუდი დაგადაიზრდება თუ არა სოციალური მოთხოვნები პოლიტიკურ აქტივობაში? – სომხეთში მიმდინარე მოვლენებზე "საქართველო და მსოფლიოს" ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის ხელმძღვანელი არმან ბოშიანი და ერევანში შარშან გამართული კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, პოლიტოლოგი ირაკლი უბილავა ესაუბრნენ.**

არმან ბოშიანი:

**– ბატონო არმან, როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს, გარდა რთული სოციალური პრობლემებისა, რა მიზეზებმა განაპირობა სომხეთში ხელისუფლების წინააღმდეგდაწყებული საპროტესტო აქცია?**

– 29 ივნისამდე ეს საპროტესტო აქცია მხოლოდ სოციალური აფეთქება იყო. ხალხში წლების განმავლობაში გროვდებოდა უკმაყოფილება და ელექტროენერგიაზე ფასის მომატება სოციალური აფეთქების ლოგიკურ მიზეზად იქცა, თუმცა ახლა პოლიტტექნოლოგები ჯიუტად ცდილობენ, ამ პროცესებს მაიდნის ელფერი მისცენ.

მე ვესაუბრე ამ აქციის ორგანიზატორებს და, შეიძლება ითქვას, ისინი თვითონაც შოკში იყვნენ, რომ ამდენი ხალხი შეიკრიბა. უნდა ითქვას, რომ ისინი მართლა ცდილობდნენ, მომიტინგეებსა დაპოლიციას შორის პროვოკაციის ყველა შესაძლებლობა აღეკვეთათ. რაც მთავარია, აქციის მონაწილეები არ ცვლიდნენ თავიანთ მოთხოვნებს, მაგრამ, როგორც წესი, გარე ძალები ნებისმიერი სოციალური პროტესტის სათავისოდ გამოყენებას ცდილობენ. და აი, პროცესი დაიწყო...

სომხეთის **"რევოლუციას"** უკვე აქვს **"მხარდაჭერა"** უკრაინაში, თბილისში, აზერბაიჯანსადა თურქეთში. ცხადია, რომ საუბარი მიმდინარეობს შეკვეთაზე. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, მაგალითად, სომხეთის გენოციდის ფაქტებით თურქეთი ან აზერბაიჯანი ასე შეშფოთებულიყვნენ. არ მახსოვს, რომ კიევში, სადაც ელექტროენერგიის საფასური ორჯერ გაიზარდა, ვინმე გამოსულიყო ქუჩაში და ეს გაეპროტესტებინა. ანუ, ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს გარედან მომდინარე შეკვეთასთან და ბაქო-თბილისი-სტამბოლი-კიევში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ამ შეკვეთის შედეგია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვითხოვია, სომხეთის შიგა პოლიტიკური სიტუაცია ბაქოში განეცადათ და ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია.

ამ პროცესებს უკვე მოჰყვა ამერიკის საელჩოსა და ლოს-ანჯელესის გეოპოლიტიკური კლუბის მთელი რიგი განცხადებები და **"შეშფოთებები დემოკრატიის"** გამო. ლოს-ანჯელესის გეოპოლიტიკური კლუბის განცხადება არა მხოლოდ ანტირუსულ და ანტისამთავრობო შეტყობინებებს მოიცავს, არამედ საუბარია **"პოლიციისთვის სასტიკი წინააღმდეგობის გაწევაზე",** მაგრამ საინტერესოა, ვინ აპირებს წინააღმდეგობის გაწევას, ნუთუ ისინი?

უკვე რამდენიმე დღეა, დემონსტრანტებს შორის გამალებით მუშაობენ პროვოკატორები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს პროტესტის სხვა კალაპოტისკენ მიმართვა, ანუ მათ სურთ შეტაკება პოლიციასთან. მეტიც, ბაგრამიანის პროსპექტზე, მაღალი შენობის სახურავზე, შავნიღბიანი სნაიპერიც შევნიშნეთ. როგორც ჩანს, **"მშვიდობიანი"** მომიტინგე სნაიპერი იყო.

მართალია, აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს თავისი სურვილის შესახებ, გადასულიყვნენ თავისუფლების მოედანზე და გაეთავისუფლებინათ სავალი გზის ნაწილი, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდნენ დემონსტრანტებს შორის ჩანერგილი პროვოკატორები (აგენტურა), რომლებმაც აქციის ზოგიერთი მონაწილე დაარწმუნეს, პროტესტის შემდგომი მაიდანიზაციის მიზნით ბაგრამიანის პროსპექტზე დარჩენილიყვნენ. მას შემდეგ, რაც პოლიციამ ბაგრამიანის პროსპექტზე დემონსტრანტების დაშლის შესახებ განაცხადა, შევეცადე, იქიდან ქალები და ბავშვები გამეყვანა, თუმცა წინააღმდეგობას წავაწყდი თავისუფლებისთვის მებრძოლების მხრიდან, რომლებიც ქალებსა და ბავშვებს დაჟინებით არწმუნებდნენ, ბაგრამიანის პროსპექტი არ დაეტოვებინათ. ერთმა დაკუნთულმა კი განაცხადა: **"ჩვენ, ყველანი, უნდა გვცემონ, რათა ყველამ გაიგოს, როგორი რეჟიმია სომხეთში".**

ბაგრამიანის პროსპექტზე რუპორებით დადიან უცნობი ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობს, და აქციის მონაწილეებს მოუწოდებენ, არ დაიშალონ და არ დაუჯერონ ჭორებს, თითქოს აქციაზე პროვოკატორები არიან. ჩემს კითხვაზე – თუ ისინი მართლაც აქციის ორგანიზატორები არიან, შეიძლება თუ არა მათგან ინტერვიუს აღება, მივიღე აგრესიული პასუხი, – ჩვენ ხალხის ნებას გამოვხატავთო.

ვრცელდება ასევე ანონიმური ფურცლები ლოზუნგებით **– "არა – ძარცვას!",** რომლებსაც, საეჭვოა, რაიმე საერთო ჰქონდეს აქციის ორგანიზატორებთან, რადგან მათ უკვე განაცხადეს, რომ არანაირ ფურცლებს არ ავრცელებენ. ეს ფურცლები გვატყობინებენ, რომ არ უნდა ვიურთიერთოთ პოლიციელებთან, რადგან ამან შეიძლება მათი მხრიდან ძალადობა და შეურაცხყოფა გამოიწვიოს. აქციაზე ასევე ვნახე 4-კაციანი ჯგუფი, რომელიც თურქულად საუბრობდა. როგორც ჩანს, სომხეთში ფასების ზრდის გამო თურქი დემონსტრანტებიც **"ძალიან ღელავენ".**

**– მოგეხსენებათ, თავდაპირველად საპროტესტო აქციები კიევშიც სულ სხვა მოთხოვნებით დაიწყო, მაგრამ ხელისუფლების შეცვლით დასრულდა. სომხეთის მთავრობა აქციის მონაწილეების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს, კომპრომისზე წასვლას არც დემონსტრანტები აპირებენ. შესაძლოა თუ არა, სომხეთში "მაიდანი" და სახელმწიფო გადატრიალება მოეწყოს?**

– ფაქტია, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები გაზრდილი ტარიფების გაუქმებას მოითხოვდნენ და მართალია, 3 თვით, კომპანიის აუდიტის დასრულებამდე, მაგრამ მათი ეს მოთხოვნა მაინც შესრულდა. შეიძლება ითქვას, ხელისუფლებამ დემონსტრანტების მოთხოვნა ნაწილობრივ შეასრულა, თუმცა ელექტროქსელების კომპანია კერძოა და, როდესაც კომპანია გეოპოლიტიკურ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, ის სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.

რაც შეეხება კიევსა და ერევანში მიმდინარე მოვლენებს, ვფიქრობ, ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან. კიევში პროტესტს თავიდანვე ხელმძღვანელობდა ოპოზიცია და აქციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. თავიდანვე შეინიშნებოდა მოქმედებების მკაფიო ორგანიზაცია და კოორდინაცია. არსამთავრობო ორგანიზაციები და სექტები თავიდანვე აქტიურობდნენ. ხოლო ერევანში სოციალური აფეთქება ისეთი უეცარი იყო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე დასავლეთის აგენტურისა და მათი გავლენის ქვეშ მოქმედი პარტიებისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც კი დაიბნენ.

**– სომხეთში მიმდინარე საპროტესტო აქციები ბევრს "უკრაინული მაიდნის" დასაწყისს აგონებს. ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ "ნაკანუნე. რუს" ვებგვერდზე გამოთქვა თავისი ექსპერტული მოსაზრება, რომ "ფერადი რევოლუციები" ყოველთვის სოციალური პრობლემებით იწყება. შემდგომ აქციის მონაწილეები იწყებენ საუბარს ადამიანის უფლებებისა და ინტერესების შელახვაზე, მთავრობის კორუფციაზე. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რა მძლავრ სამუშაოებს ატარებენ დასავლური სპეცსამსახურები ერევანში, ეს პროტესტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი ძალების ცდა!"**

– ეჭვგარეშეა, რომ დღეს სომხეთი სახელმწიფოებრიობის განადგურების რიგში დგას. ქვეყანაში ბევრი ორგანიზაცია ფუნქციონირებს სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ოჯახის ინსტიტუტის გაუქმება, არმიის დისკრედიტაცია. ისინი ცდილობენ, ახალგაზრდობას ჩაუნერგონ ახალი თეზისი **"სამოქალაქო საზოგადოების შესახებ".** ყველანაირად ცდილობენ, ახალგაზრდობა ამ მანიპულაციების გავლენის ქვეშ მოაქციონ.

თუმცა ეს სოციალური აფეთქება ჩვენ და ბევრმა ანალიტიკოსმა ადრე ვიწინასწარმეტყველეთ. ამის მიუხედავად, ეს ყველაფერი ყველასთვის სიურპრიზად იქცა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომეს გრანტიჭამიები განსაკუთრებულად გააქტიურდნენ. მომიტინგეებს შორის დადიან ადამიანები მოწოდებებით, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს საპროტესტო აქციის მონაწილეების მოთხოვნებთან. მცდელობები პროცესების მართვის ხელში ჩაგდებისა, არ წყდება და შეიძლება ითქვას, რომ პროცესის ნაწილი უკვე ჩაიგდეს ხელში პოლიტტექნოლოგებმა, რომლებსაც სრულიად სხვა საკითხები აქვთ გადასაწყვეტი, ვიდრე სომხეთის სოციალური პრობლემებია.

**– შარშან შემოდგომაზე ერევანში "ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის" ორგანიზებით, რომლის ხელმძღვანელიც თქვენ ბრძანდებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე "კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი". კონფერენციის მონაწილეებმა კავკასიაში და, კერძოდ, სომხეთში მოსალოდნელ საფრთხეებზეც იმსჯელეს. კონფერენცის სახელწოდება და მისი ჩატარების იდეა ნიშნავდა თუ არა, რომ გარკვეული საფრთხის საფუძველი უკვე არსებობდა?**

– ჯერ კიდევ 2014 წლის ივლისში ვიწინასწარმეტყველეთ, რომ სოციალური უკმაყოფილებამიგვიყვანდა იმ პროცესებამდე, რომელთა მეორე მაიდნად გადაქცევასაც შეეცდებოდნენ გარკვეული ძალები და რომ ამისთვის უკვე აქტიური მზადება მიმდინარეობდა; მაგრამ ცოტა თუ ვარაუდობდა, რომ სოციალური აფეთქების ინიცირებას მოახდენდა მსხვილი რუსული კაპიტალი ჩუბაისის პირმშოს სახით. მიმაჩნია, რომ **"ინტერ რაოს"** მმართველებს არ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ელექტროენერგიის ფასს ზრდიდნენ. **"ინტერ რაოს"** მმართველები სპეციალურად მოიქცნენ ასე რუსულ-სომხური ურთიერთობებისთვის ძირის გამოსათხრელად, ან არ ჰყავთ ანალიტიკოსები, რასაც კომპანიის სავალალო მდგომარეობაც ადასტურებს.

**– შარშან გამართულ კონფერენციაზე განაცხადეთ, რომ კიევის მაიდნის განმეორების საფრთხეს ვერ ხედავთ, ვინაიდან სომხეთში შესაბამისი საზოგადოებრივი განწყობა არ არსებობს, მაგრამ რას ფიქრობთ ახლა, როდესაც აქციები სომხეთის რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს?**

– ამ საპროტესტო აქციებში დამნაშავეა საბაზრო სისტემა. ჩვენ გავყიდეთ სტრატეგიული დარგები და ახლა გვიკვირს, რომ კომპანიებს თავიანთი ბიზნესინტერესები აქვთ. **"მაიდნის მსგავსი განწყობა"** ჯერჯერობით სომხეთის მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს, თუმცა სოციალური უკმაყოფილება კოლოსალურია და, თუ ხელისუფლება ამ საკითხებს გადაწყვეტს, მანიპულატორები პროცესებს სხვა მიმართულებით წაიყვანენ.

როგორც აღვნიშნე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სტრატეგული დარგების ნაციონალიზაცია. დამოუკიდებლობის 25 წელმა გვაჩვენა, რომ ჩვენ დამოკიდებულები ვართ მსხვილ მესაკუთრეებზე, რომლებიც ემსახურებიან არა სომხეთის, არამედ სხვა, მესამე ქვეყნების ინტერესებს, როგორც ეს **"ინტერ რაოს"** შემთხვევაში ხდება, რომელიც არათუ სომხეთის, რუსეთის ინტერესებსაც არ ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში, სომხეთის ელექტროქსელების კომპანიის მოქმედება მკაფიოდ ანტისახელმწიფოებრივია, რაც, არ არის გამორიცხული, გარედან შეკვეთილი იყოს. საქმე ის არის, რომ მე წერილობით ვთხოვე კომპანია **"ინტერ რაოს",** დაუყოვნებლივ გააუქმონ ფასების მომატების შესახებ გადაწყვეტილება და ავუხსენი მათი უარის შემთხვევაში მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები.

მოგვიანებით პრესაში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კომპანია ბიზნესსაქმიანობითაა დაკავებული და პოლიტიკა არ აინტერესებს. არ შეიძლება მსხვილი და მონოპოლიური ბიზნესის მხრიდან პოლიტიკისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სრული იგნორირება. ხოლო, თუ კომპანია ასე იქცევა, ეს ბიზნესსაქმიანობა კი არა, ძირგამომთხრელი საქმიანობაა.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომეხ და აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს შორის შეტაკება მოხდა და სომეხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. დღეს ამ ვითარებაში რა შეგიძლიათ თქვათ – არსებობს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განახლების საშიშროება?**

– თუ პროცესი მთლიანად გარე ძალების აგენტების მართვის ქვეშ მოექცევა, ამით აზერბაიჯანი დაუყოვნებლივ ისარგებლებს. დასავლეთის გეოპოლიტიკური მოთამაშეების მიზანი ამიერკავკასიის დესტაბილიზაცია და რეგიონში სხვა გეოპოლიტიკური რეალობის ფორმირებაა, თუმცა მოაზროვნე ადამიანი ბევრია და ჯერჯერობით პროცესების მთლიანად ხელში ჩაგდება მათ ვერ მოახერხეს.

ირაკლი უბილავა:

**– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ერევანში ვიზიტისას, უკვე არსებობდა ნიშნები იმისა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სომხეთში ასეთი ვითარება შეიქმნებოდა?**

– სიმართლე გითხრათ, ერევანში ჩასვლამდე სომხეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე სრულიად სხვა წარმოდგენა მქონდა, თუმცა ერევანში ვიზიტისას, შეიძლება ითქვას, პარადოქსული სიტუაცია დამხვდა და სომხეთის პოლიტიკურ სისტემაზე განსხვავებული წარმოდგენა შემექმნა. სომხეთში მმართველი ელიტა და ოპოზიციის დიდი ნაწილი პრორუსული ორიენტაციისაა, ვინაიდან ისინი კარგად აცნობიერებენ მათ წინაშე არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას, თუმცა სამოქალაქო სექტორი (ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები) მთლიანად პროდასავლურია და ამ პოლიტიკურ დაჯგუფებებს სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური და საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები აქვთ. ერევანში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ ახლო მომავალში რევოლუციური პროცესების განვითარება იყო მოსალოდნელი. ჩემი მოლოდინი ამა წლის 19 ივნისს გამართლდა.

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც წესი, ასეთი აქციები სპონტანურად არ იწყება. ბუნებრივია, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება იწყება, ყოველთვის არსებობს სოციალური მიზეზი, რომელსაც შემდეგ კორუფციისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ლოზუნგები ემატება. ამ პროცესების უკან კი, როგორც წესი, ყოველთვისამერიკის შეერთებული შტატები დგას. აღსანიშნავია, რომ ერევანში სოციალური მოთხოვნებით დაწყებულ საპროტესტო აქციას უკვე პროდასავლური ორიენტაციის ოპოზიციური სომხური ორგანიზაციები და პარტიებიც შეუერთდნენ. მაგალითად, **„ნაციონალური კონგრესი",** რომელსაც ლიბერალური და პროდასავლური იდეების მქონე ლევონ ტერ-პეტროსიანი ხელმძღვანელობს. აქციაზე გამოჩნდნენ პროდასავლური პოლიტიკური **პარტიების – "ნასლედიესა"** და**"დაშნაკცუთიუნის"** წარმომადგენლებიც. უფრო მეტიც, აქციაზე უკვე უკრაინისა და ევროკავშირის დროშებიც გამოიტანეს. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, ერევანშიმიმდინარე პროცესების უკან რა ძალები დგანან.

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "კიევური მაიდნის" საფრთხე ერევანში

*(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)*

**– ერევანში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ხშირად ადარებენ კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს. არის თუ არა მოსალოდნელი "კიევური მაიდანი" კავკასიაში, კერძოდ, სომხეთში?**

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ვინაიდან სომხეთის ხელისუფლება დღეს საკმაოდ სუსტია. ამას გარდა, სომხეთს აქვს საქართველოს მაგალითი. სომეხი ახალგაზრდები რატომღაც ფიქრობენ, რომ საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ განვითარდა, აქედან გამომდინარე, მათაც სურთ ცვლილებები. ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში ამერიკელების კონტროლს დაქვემდებარებული პროდასავლური ძალების მოსვლას ქვეყნის დემოკრატიზაცია, კორუფციის აღმოფხვრა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება.

არადა, სინამდვილეში ამერიკელებს დემოკრატიის დარდი ნამდვილად არ აქვთ. ისინი მხარს უჭერდნენ სააკაშვილსაც, მაგრამ ვისაც ოდნავ მაინც ესმის პოლიტიკა, ხვდება, რომ წარმოუდგენელია, სააკაშვილს დემოკრატი უწოდო. მან შექმნა მკვეთრად ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა ტოტალიტარიზმის ელემენტებით და ასეთი პოლიტიკური სისტემა ამერიკელებისთვის მისაღები და დემოკრატიული იყო. ამერიკელები დღესაც კი უჭერენ მხარს თავიანთ **"დემოკრატიის შუქურას"** და საქართველოს ხელისუფლებას უფლებას არ აძლევენ, სააკაშვილის მიმართ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ძალიან იძაბება. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ რიგაში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი არ ჩავიდა და, შესაბამისად, არ შეუერთდა ანტირუსულ განცხადებებს. ალიევის საქციელმა დასავლეთი კიდევ უფრო გააღიზიანა. ილხამ ალიევის ამ ნაბიჯის საპასუხოდ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომ მალინოვსკიმ აზერბაიჯანში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა. ამას გარდა, დასავლურ პრესაში ლამის ყოველდღე იბეჭდება სტატიები, როგორი არადემოკრატიულია აზერბაიჯანის პრეზიდენტი, როგორ არღვევს ის ადამიანის უფლებებს და ა.შ. აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის არსებული ეს დაძაბული ურთიერთობა სომხეთის პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებს აძლევს იმედს, რომ აზერბაიჯანის აგრესიის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთს დაიცავს. მათ იმედი აქვთ, რომ ამერიკელები აზერბაიჯანს შეაკავებენ, მაგრამ საკითხავია, მეორე გეოპოლიტიკური მოთამაშე – რუსეთი თავისი ინტერესების ხარჯზე გააძლიერებს დასავლეთის ინტერესებს? რას მოიმოქმედებს რუსეთი ასეთ შემთხვევაში?

დღეს რუსეთი სომხეთის ერთიანობის გარანტია. შესაბამისად, რუსეთთან დაპირისპირება შეცდომაა. ჩემი აზრით, რუსეთი არ ჩაერევა პროცესებში და ამით გარკვეულწილად დასჯის სომხეთს. რუსეთი თვალს დახუჭავს ყარაბაღზე და აზერბაიჯანს საშუალებას მისცემს, იქ კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და რუსეთს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოწინააღმდეგის აგრესიის შემთხვევაში, რუსეთი ვალდებულია, სტრატეგიული მოკავშირის დაცვის მიზნით ჩაერიოს კონფლიქტში. თუ სომხეთის ხელისუფლების სათავეში პროდასავლური ძალები მოვლენ, გიუმრის სამხედრო ბაზების დახურვასა და ხელშეკრულებების დენონსაციაზეც დაიწყებენ საუბარს.

გასათვალისწინებელია აზერბაიჯანის მიმართ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებიც. აზერბაიჯანს სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკა აქვს, ხოლო, თუ აზერბაიჯანის მთავრობამ ყარაბაღზე კონტროლი აღადგინა, აზერბაიჯანის ხელისუფლების ნდობის ხარისხი მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, ამერიკელების მიერ ალიევის წინააღმდეგ რაიმე რევოლუციის მოწყობის შანსი ნულამდე შემცირდება.

**– ქართველი პოლიტოლოგის – ალექსანდრე ჭაჭიას განცხადებით, თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სომხეთში დღეს ყველა წინაპირობა არსებობს "ფერადი გადატრიალებისთვის". მეტიც – ეს რევოლუცია აუცილებელიც კია, თუ სომხეთის გეოპოლიტურ მდგომარეობასა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, ვინაიდან "ეს ყველაფერი რუსეთის საწინააღმდეგოდ, მის შესასუსტებლად ხდება"...**

– სრულიად ვეთანხმები ამ თვალსაზრისს და მინდა, ვთქვა, რომ შეუძლებელია, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას დონის პოლიტოლოგს პოლიტიკური პროცესების ანალიზში არ დაეთანხმო, რადგან მისი პოლიტიკური პროგნოზები ყოველთვის მართლდება. ჩემი აზრით, დღეს თუ არა ხვალ ან ერთი წლის შემდეგ მაინც, სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ისე დასრულდება, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ჩაფიქრებული. ეს, უბრალოდ, დროის საკითხია...

**– სიტუაციის გართულების შემთხვევაში, როგორ აისახება ერევანში მიმდინარე პროცესების შედეგები კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე?**

– გარდა იმისა, რომ სომეხი ეთნოსი სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდება, ეს პროცესები კავკასიაში გეოპოლიტიკურ სიტუაციას შეცვლის, თუმცა, ვფიქრობ, უშუალოდ საქართველოზე, ამ ეტაპზე მაინც, დიდ გავლენას ვერ მოახდეს, ვინაიდან საქართველო, ფაქტობრივად, უკვე ისედაც ამერიკელების გავლენის ქვეშ არის.

ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი

# კიდევ ერთხელ ევროამერიკულ (უ)ზნეობაზე

**თუ დარდი მოგეძალოს, ღმერთს ნუ ეტყვი – დარდი მაქვსო, დარდს უთხარი – ღმერთი მყავს-თქო.**

**აღმოსავლური პოეზიიდან**

## ქართველი კაცის მუდმივი სადარდელი

ღმერთს ადამიანი დარდისათვის გაუჩენია, რადგან სიხარულს კაცი მალე ივიწყებს, დარდი კი სიცოცხლის დასასრულამდე დაჰყვება ხოლმე – ამოოხვრით იტყოდა ზოგჯერ ცხონებული პაპაჩემი.

დარდით დამძიმებული გული კი მაინც იმედით ცოცხლობს, იმის იმედით, რომ შავი ღრუბელი როდისმე გადაიყრება და გარემოს მზე გაანათებს. მუდმივ დარდთან მოზიარე კაცს კი რელიგიამ ძლიერი სულიერი საკვები მისცა – საქართველო მარიამ ღვთისმშობლის კუთვნილ სამყაროდ გამოაცხადა და ქართველი კაცის სამუდამო დარდი ასევე სამუდამო იმედით გააქარწყლა. ამ რწმენამ ისე გაიდგა ფესვი ქართველი კაცის სულში, რომ ჟურნალისტ დავით ქობალიას თქმისა არ იყოს – ლამის რელიგიურ პარაზიტიზმად გვექცა.

მაშინ, როცა ჩვენ ყურზე გვეძინა და სახელმწიფოებრიობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაგვაჩნდა (ნუ დაგვავიწყდება, რომ **"ლიბერასტებისაგან"** ესოდენ მოძულებული **"გეორგიევსკის ტრაქტატის"** ძალაში შესვლამდე საქართველო ექვს სამეფოდ იყო დაწიწკნილ-დანაწევრებული და "მეფუკები" გაუთავებლად კინკლაობდნენ ერთმანეთში), ევროპელები უკვე აანალიზებდნენ სახელმწიფოებრიობის ავ-კარგს, მაგრამ ჩვენს მსგავსად, არასოდეს გამოდიოდნენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

ავიღოთ თუნდაც დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო, რომელიც მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან სახელმწიფოსა და სამართალს.

**"კანონი რომ კანონად დარჩეს, უნდა ლაპარაკობდეს ბუნების ხმით. განათლება და ცივილიზაცია დამღუპველია კაცობრიობისათვის, რადგან განათლებასა და ცივილიზაციაში განსახიერებას პოულობს ყოველგვარი უსამართლობა და უსინდისობა. სახელმწიფო, როგორც ასეთი, მხოლოდ ძლიერების ძალას გვიჩვენებს და სუსტების შევიწროებას, მაგრამ რაც ბუნებრივია, რაც შექმნა ღვთაებრივმა ნებამ, უნდა განისხვავოს იმისაგან, რაც მოჩმახულია ადამიანების მიერ".**

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ მუშნი ზარანდიას სიტყვები, რომელიც ძველი რომაული თქმის გამოყენებით უმტკიცებს გრაფ სეგედს, რომ თვით ყველაზე დემოკრატიული და ტოლერანტული სახელმწიფოც კი ძალმომრეობის ინსტიტუტიაო. სწორედ ამის საპირწონედ გამოიგონეს ევროამერიკელმა მასონებმა **"აღვირახსნილი"** დემოკრატია, რომელსაც ტოტალურ უზნეობამდე და სრულ პიროვნულ ანარქიამდე მივყავართ. ეს კი კეთდება იმ **"ტალახის"** წახალისებით, რომლებიც ამოვარდნილი არიან ცხოვრების რეალობისადმი ადამიანური დამოკიდებულების სტიქიიდან და ახალი რეალობის დამკვიდრებას ცდილობენ სხვადასხვა მანკიერებათა სიცოცხლისმიერ ნორმად დამკვიდრების გზით. სწორედ ესაა დამღუპველი ჩვენთვის, რადგან თუ 80-მილიონიან გერმანიას 10 მილიონი ჰომოსექსუალი თუ რელიგიურად უზნეო პერსონა ვერაფერს დააკლებს, მცირერიცხოვანი საქართველოსათვის 100 გადაგვარებულიც კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

## პრემიერი ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ: *რას გეგმავს ღარიბაშვილი*

მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაზეთ **"ასავალ-დასავალთან"** ინტერვიუში აცხადებს. მთავრობის მეთაურის განმარტებით, ქართული სახელმწიფო სწორედ ჩვენს სარწმუნოებასა და ოჯახის ინსტიტუტზე დგას.

**"რაზე დგას ქართული სახელმწიფო? – ჩვენს სარწმუნოებაზე, რამაც დღემდე მოგვიყვანა და ოჯახის ინსტიტუტზე, რასაც თანამედროვე, ძლიერი საქართველო უნდა დაეუფუძნოს. ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ და მწამს, რომ სწორედ ოჯახია ყველანაირი სიკეთის საწინდარი. ამდენად მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა! დღეს მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ამ საკითხს თავისებურად წყვეტს, ჩვენ კი ვთვლით, რომ საქართველოში ეს საკითხი ასე უნდა მოგვარდეს"**, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე შეფასებით, ის ადამიანები, რომლებიც ოჯახის ინსტიტუტს ეწინააღმდეგებიან, **"მხოლოდ საკუთარი პირადიდან გამოდიან და მეტი არაფერი ანაღვლებთ"**.

**"ქართველები მთელ მსოფლიოში გამორჩეული ერი ვართ, ჩვენი ენით, დამწერლობით, კულტურით, ისტორიით, გაუტეხელი სულითა და ბუნებით, რომელიც ვერც ერთმა მტერმა ვერ დაჯაბნა. ქართველობა ჩემთვის არის დიდი სიმდიდრე და დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე. ქართველობა საამაყოა იმიტომ, რომ ქართველი კაცი თავგანწირვას არასოდეს გაურბოდა. ჩვენი წინაპრები საკუთარ "მე"-ზე არასოდეს ფიქრობდნენ და ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებდნენ. დღეს კი გახედეთ, რა ხდება – ის ადამიანები, რომლებიც ოჯახის ინსტიტუტს ეწინააღმდეგებიან, მხოლოდ საკუთარი პირადიდან გამოდიან და მეტი არაფერი ანაღვლებთ"**, – განმარტავს პრემიერ-მინისტრი.

ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ თავისი საპროტესტო განწყობა ამცნო საზოგადოებას საქართველოში პედერასტებისა ყველა გარყვნილთა თავგამოდებულმა დამცველმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ამერიკელთა ფულით გაქსუებულ-გაფუებულმა ვიღაც მდედრმა ანი ნაცვლიშვილმა, რომელმაც გულისწყრომით განაცხადა, რომ პრემიერის ამ სიტყვებით სექსუალურ უმცირესობათა უფლებები ირღვევაო.

ჩვენ კი გვინდა ვუთხრათ ამ გადაჯიშებულ არსებას და მის მსგავსებს, რომ თუ ქალზე გათხოვება სურთ, ან უნდა, რომ მათმა ვაჟიშვილმა კაცზე იქორწინოს, ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, ჩვენ კი თავის სიბინძურესა და გარყვნილებას ნუ გვახვევენ თავს და კანონად ნუ გვიქცევენ ჯოჯოხეთურ ცოდვას.

და, რაც მთავარია, უნდა იცოდეს ნაცვლიშვილის ჯურის ყოველმა გადაგვარებულმა, რომ საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მოთმინებასაც აქვს საზღვარი!

ნუთუ მართლა სჯერათ ამ ნაცვლიშვილ-ნანუაშვილებს და ამერიკელთა გრანტიჭამია სხვა არამზადებს, რომ როდისმე შესძლებენ ჰომოსექსუალ გარყვნილთა კასტის ინტეგრირებას ნორმალურ საზოგადოებასთან?

ფუჭი იმედია!

## ევროპის საბჭო შოკირებულია სტამბულში გეი–პარადის დაშლის გამო – თურქეთის მთავრობა ვალდებულია დასაჯოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, აცხადებს ლგბტ-თანამეგობრობა

ასეთი მოსაზრება გამოხატა ნილს მუჟნიეკმა (ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი). **„მე შოკირებული ვარ და ძალიან განხიბლული პოლიციელების მხრიდან ძალის გამოყენების გამო სტამბულის გეი-პარადის დასაშლელად. პოლიცია ვალდებულია დაიცვას დემონსტრანტები და მოხდა პირიქით. მშვიდობიანი თავშეყრის უფლება, ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა და თურქეთმა უკეთ უნდა დაიცვას ეს!"**, – ფეისბუქის თავის გვერდზე დაწერა პედერასტთა გულმოდგინე დამცველმა და თავად პედერასტმა კომისარმა.

2015 წლის 28 ივნისს, ტაქსიმის მოედანზე, თურქეთის პოლიციამ უხეში ძალის გამოყენებითა და რეზინის ტყვიებით (ვენაცვალე ხელებში!) გეი-პარადში მონაწილე ბრბო დაშალა. მუჟნიეკმა თურქეთის მთავრობას მოუწოდა გამოავლინონ დამნაშავეები და დასაჯონ. **„მთავრობამ ღიად, და არა ორაზროვნად, ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ მშვიდობიანი თავშეყრის უფლება, მათ შორის ელგებეტე პირებსაც, ყველას აქვს და მომავალში მათი უფლებები დაცული იქნება"** – აღნიშნა მან.

ფრთხილად უნდა ვიყოთ, ქართველებო და ჭკუასაც უნდა მოვუხმოთ, თორემ მალე ეს გადაგვარებული ცხოველები ოჯახებში შემოგვივარდებიან!

ამიტომ, ვიმეორებ – ფრთხილად!

**საპ. ინფ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდიდან დანახული საქართველო



*ოთხწლიანი ლოდინის შემდგომ, საზოგადოება „ზუგდიდელის" ეგიდით მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდა საკმაოდ ორიგინალური, რუდუნებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული წიგნი „ზუგდიდი" (წარსული და თანამედროვეობა).*

სათაურის მიხედვით შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ მის წინაშეა ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის თხზულება, თუმცა წიგნის მიზანდასახულობა გაცილებით მეტია – ზემოთხსენებული წიგნი ფიგურალურად შეიძლება შევადაროთ ზვავის აღძვრის სტადიას, რომელსაც ციცქნა კენჭის ჩამოზრიალება იწვევს პიტალო კლდისგან – ადვილმოსალოდნელია ხვალ-ზეგ იგი მოგვევლინოს ჩვენი სამშობლოს პირუთვნელი ბიოგრაფიის – დედასაქართველოს ქვაკუთხედად.

ეპოქალური წიგნი **„ზუგდიდის"** იდეის ავტორია აწგანსვენებული, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ კვარაცხელია. მთავარი რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფში წარმოდგენილნი არიან: ექსპრემიერი ოთარ ფაცაცია, ენერგეტიკოსი იური გუგუჩია, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა; ზუგდიდის ინტელიგენციის გამოცდილი სამეურნეო მუშაკები: მურმან ნაჭყებია, კუკური როგავა, რევაზ ცაავა, თამაზ ცანავა, თენგიზ შანავა, ბონდო ჯიქია. წიგნის სარედაქციო საბჭოში არიან სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები: გონელი არახამია, ტიტე მოსია, ლეო ჩიქავა.

წიგნი გამოცემულია აკადემიურად, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ბიბლიოგრაფიული ფოტო-მასალის თანხლებით, რომელსაც მრავალჯერადი რედაქტირება-მომზადების კვალდაკვალ ღირსეულად გაართვა თავი გამომცემლობა **„ივერიონმა"** (დირექტორი ზაურ ნაჭყებია).

ცოტა შორიდან დავიწყებ: ზუგდიდში საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი მივლინებით ოთხმოციან წლებში მოვხვდი. ქალაქი მაშინაც ორ უწყებად იყო დაყოფილი – ქალაქკომად და რაიკომად. პირველს კლიმენტი ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა, მეორეს – ივლიანე თოდუა.

იმ პერიოდის ზღვისპირა ჭურიაში კახათელი მწყემსების სტუმარმა, რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილი" მივუძღვენი სიზმარში ჩადევნებულ კუთხეს – ამ წიგნის ეპიცენტრია ერთადერთი კუნძული საქართველოში – **„შამგონა"**, მაგრამ სივრცის თვალსაზრისით იგი მოიცავს მთელს სამეგრელოს, მოქმედებს ენგურს გაღმა-გამოღმა, ანუ სამურზაყანო-ოდიშში.

დასახელებულ რომანს მოგვიანებით (ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს) მეორე ვრცელტანიანი თხზულება მოჰყვა – **„როკი"**, რომელიც კომუნისტური ერთსახოვნებით ჩაქოლილი ეროვნული ფასეულობების სააშკარაოზე გამოტანას, პარტოკრატიის წაქეზებით ბირჟავიკული და ქურდული ფსიქოლოგიის დამკვიდრებას და საბოლოო ჯამში უკიდურესად დაბეჩავებულ ადამიანს, პიროვნულ ნიველირებას ეძღვნებოდა.

როგორც შესავალში აღვნიშნე, მონუმენტური წიგნი **„ზუგდიდის"** იდეის ავტორი ცხონებული პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია გახლდათ (სხვათა შორია იგი ჩემი რომან **„როკის"** პერსონაჟია ვახტანგ კაკაჩიას გვარ-სახელით). მე მისგან, სხვათა შორის ერთადერთისგან, მომეწოდა მრავალი საინტერესო და უტყუარი მასალა ზუგდიდ-ქალაქის სინამდვილეზე, რომელთაგან თითქმის ყველაფერი გავიზიარე, გარდა მთავარი გმირის დოკუმენტური ელფერის მოშლისა და როგორც ჩანს, აღნიშნული წიგნის დაბადებაც ამ მომენტმა ჩააგონა ბატონ ვახტანგს – მეცნიერული ბაზა შეექმნოდა ზერელე თუ ლამბერტიასტაფიევის მსგავსი ავტორების პასკვლების ალაგმვას ზუგდიდ-ქალაქზე.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში უამრავი მომენტია, როცა განგება სახელდახელოდ შემომაშველებს ხოლმე ხელს – საგანგებოდ გამომიგზავნის საჭირო თემებს, ადამიანებს. ახლაც მსგავსი რამ მოხდა – ენგურის ხეობის ეპოპეის მესამე წიგნზე მუშაობაში ჩართულს, უფალმა ციურ მანანასავით მომაშველა მეცნიერული პატიოსნებითა და ინფორმაციული სიზუსტით შეკრული თხზულება ზუგდიდ-ქალაქზე, სადადიანოზე, ზოგადად საქართველოზე.

შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ ზემოთხსენებული წიგნით სრულიად საქართველომ მიიღო ეპოქალური მნიშვნელობის მატიანე ქვეყნის გეოსტრატეგიულ ტენდენციებზე...

დიახ, ეს დიდზე დიდი მონაპოვარია და უწინარესად ამ მაღალ თამასას, ამ მაღალ განზოგადოებებს უნდა ვუმადლოდეთ სახელგანთქმულ მეცნიერებს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ჭითანავას და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გონელი არახამიას. მათ მეცნიერულ თუ პიროვნულ ღირსებებს.

გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ წიგნი ამ ორი ადამიანის სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უქონლად ვერაფრით შეიძენდა იმ საშვილიშვილო დატვირთვას, რითაც იგი გამორჩეულია ბოლოდროინდელ თხზულებებს შორის.

ფაქტები ქრონოლოგიური ხასიათითაა მოშველიებული, რაც დღემდე ბურუსით მოცულ უამრავ კითხვა ხდის ფარდას. ასევე ფარდას ხდის იმ უხერხულ სიტუაციასაც, რასაც უმადურობა ჰქვია; რაც დღემდე ძარღვებს უწეწავს ქვეყნის ცენტრს – დაქუცმაცების, ფეოდალური ტენდენციებით მოშთობილს... სამწუხაროდ, დღესაც ისმის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული კითხვა: **„ნუთუ სამეგრელოც განზე მაცქერლობის სენითაა შეპყრობილი?! ნუთუ ისიც გახლეჩის მოწადინეა?! ნუთუ მასაც შეუნახავს ხალთაში ხანჯალი დედასამშობლოს ერთიანობისთვის ზურგში ჩასაცემად?!"** **„ზუგდიდი"** ყველა ამ საჩოთირო კითხვას საფუძვლიანად პასუხობს.

წიგნი ჩემთვის უამრავი ასპექტით აღმოჩნდა საინტერესო, მან უწინარესად ჩემს პირველ ორ რომანში არსებული რამდენიმე ათეული ხარვეზი გამასწორებინა.

მოვიშველიებ ტიპიურ მაგალითებს:

**„დიხაგუძუბები"** ხელოვნური მიწაყრილებია კოლხეთში, **„სამაროვანები"**. იგი ერთგვარი პირამიდის მნიშვნელობისაა თავისი შრომატევადობით ჭაობნარში. ამ მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი ბორცვ-სამარხები ზღვისპირა ერგეტაშია.

ჩემი რომანის გმირი ექსპრესიის გასაძლიერებლად ერთ-ერთ გეოლოგიურ ორმო-ხაროში ამოჰყოფს თავს სატრფოს საჭეზე მითამამების გამო. მოქმედება ხდება 1972 წელს, როცა დიხაგუძუბების გათხრა ერგეტაში ბონდო მამფორიას თაოსნობით მხოლოდ 1978 წელს დაწყებულა. თითქოს დეტალია, მაგრამ მწერალს არ ეპატიება მსგავსი ლაპსუსი.

დაზუსტდა უამრავი ტოპონიმი. მაგალითისთვის: ყველგან **„ონწყევშია"**-ს რომ ვარქმევ საფლობს, სინამდვილეში თურმე **„ონწყოშია"** ყოფილა. მეტი სიცხადე შეემატა გვანჯი ჩიქვანისა და კაკა ჟვანიას პორტრეტებს.

მართლაც, წიგნი **„ზუგდიდი"** ფასდაუდებელი გზისმკვლევია ქართული ეთნოგენეზისით, გეოპოლიტიკური აზროვნების მკვლევარი ხალხისთვის და ვფიქრობ, უახლესი მასალების მოშველიებით გაცამტვერებულია ყბადაღებული **„მეგრელთა საქმე"** – მეგრული სეპარატიზმის ანტისახელმწიფოებრივი ბაცილა, სრულიად სხვა განწყობისა და მიზანდასახულობის **„მაფალუიზმის"** აპოკალიფსური ფრიალით.

აქ ცალსახად, ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილია, რომ სამეგრელოს როლი ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის გარანტი.

წიგნმა გამოამჟღავნა მაღალი ესთეტიზმი და კიდევ უფრო მეტი კოლექტიური პასუხისმგებლობა კრიტერიუმების დაზუსტების თვალთახედვით. აქ მართლაც უნიკალურია მის მიერ ფორმულასავით გამოკვეთილი დოქტრინა: **„უკვე საქართველოში საკმარისი არ არის ეროვნული თანხმობა ერთიანი აზროვნებისათვის, საჭიროა სამოქალაქო კონსოლიდაციაც, რადგანაც ჩვენი ქვეყანა გამოსულია მონონაციონალურობის ექსტაზური ილუზიიდან. აქ უკვე 75 ეროვნება მკვიდრობს, რომელთა საერთო ხვედრითი წილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცნობიერების მშენებლობაში აღემატება 40 პროცენტს. ამისთანა ვითარებაში ეროვნული თანხმობის გვერდით დღის წესრიგში თანადროულად უნდა დადგეს სამოქალაქო კონსოლიდაციის კანონმორჩილი მოთხოვნილება"**.

სამწუხაროდ, წიგნი სიმბოლური ტირაჟით გამოიცა, არადა, საჭიროა იგი ყველა რეგიონში შევიდეს, როგორც ლოცმანი, როგორც კომპასი ამ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამოსასვლელად.

ვფიქრობ, პირველ გამოცემაში ავტორებმა კონიუნქტურის გათვალისწინებით თავი შეიკავეს 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული მოვლენების წარმოჩენისგან. არადა, რადგან წიგნს მინიჭებული აქვს მსაჯულის ფუნქცია, საჭიროა იგი დროულად გადაიჭრას, სიმღერის ნახევარ ხმაზე გაწყვეტა საზიანოა და აღარც ნახევრად თქმული სიმართლეა რაიმე ფასეულის მომტანი.

ნათქვამია, წინა უკანას ხიდიაო და ჩვენც ამნაირად გვესახება ენციკლოპედიური აღნაგობის **„ზუგდიდის"** მორიგი გამოცემა, რომელიც გვჯერა აფთიაქარის სასწორის სიზუსტით შეივსება ცალკეული თემით თუ პერსონით და ბიძგს, სტიმულს მისცემს უფრო მასშტაბურ და ტევად თხზულებას სრულიად საქართველოზე ცისარტყელასავით მოფრენილი სათაურის კვალობაზე: **„დედასაქართველო"**.

**გური ოტობაია,**
**მწერალი**




# გიულჩოხრა მამედოვა: სომხებს სხვისი საკუთრების მითვისება სჩვევიათ

***ინტერვიუ აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიულჩოხრა მამედოვასთან:***



გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებით:

შეკითხვა: **გიულჩოხრა-ხანუმ, გვაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიის ხელმძღვანელის ვაზგენ მირზახანიანის მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან მოითხოვა „დაუბრუნოს სომხებს ასობით ეკლესია, რომლებიც ქართველებს აქვთ მითვისებული"...**

**გიულჩოხრა მამედოვა:** გაკვირვებას იწვევს სომხების დავა ქართული არქიტექტურული ძეგლების მიმართ. ჩემი აზრით, დღეს, როცა საქართველოს არქიტექტურის ისტორია ძალიან კარგადაა შესწავლილი როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ, ამგვარი პრეტენზიები უადგილო და უბრალოდ, სასაცილოა.

ისტორიიდან ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ სომეხი ისტორიკოსები ქართული არქიტექტურული ძეგლების სომხურად წარმოსახვას ცდილობენ. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა ამის შესახებ თავის ნაწარმოებში **„ქვათა ღაღადი"** და გულისტკივილით საუბრობდა სომეხთა პრეტენზიებზე. სომხებს სჩვევიათ სხვისი საკუთრების მითვისება და ამგვარად, ისინი არ თაკილობენ არქიტექტურული ძეგლებიდან ქართული წარწერების წაშლას და მათ შეცვლას სომხური ეპიგრაფიკით. სხვათა შორის, ეს ფაქტები ადრეც მრავალჯერაა ასახული ისტორიულ ნაშრომებში. სამწუხაროა, რომ სომხები არად დაგიდევენ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულ ობიექტურ კვლევებს ქართულ არქიტექტურაზე. მათი მცდელობა ყოველთვის გამიზნულია იმისკენ, რაც შეიძლება გაამდიდრონ თავიანთი ისტორია სხვისი მიღწევებით. როგორც 100-150 წლის წინათ ცდილობდნენ სომხები იმის დამტკიცებას, რომ სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ ერთი – სომხური ქრისტიანული კულტურა არსებობსო, ახლაც იგივე პოლიტიკას აგრძელებენ!

ჩვენთვის, აზერბაიჯანელებისთვისაც ცნობილია სომეხთა ამგვარი მცდელობები, რომელთა თანახმად, მათ კავკასიური ალბანეთის მემკვიდრეობის მითვისება სურთ, არადა აზერბაიჯანულმა მეცნიერებმა უკვე დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ კავკასიური ალბანეთის კულტურა სწორედ აზერბაიჯანელი ხალხის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

**შეკითხვა: რამდენად ობიექტურია სომეხ მეცნიერთა და რელიგიურ მოღვაწეთა პრეტენზიები ქართული ეკლესიის მიმართ?**

**გიულჩოხრა მამედოვა:** ამაზე არქიტექტურულმა მეცნიერებამ პასუხი დიდი ხანია გასცა: საკულტო შენობების არქიტექტურული მსგავსების მიუხედავად, ყოველი ხალხის ხუროთმოძღვრებას თავისი დამახასიათებელი განსხვავებები აქვს. ამაზე ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახტანგ ბერიძე წერდა, რომელმაც სიმპოზიუმებზე თავისი გამოსვლების დროს ძალიან კარგი შედარებითი ანალიზი გააკეთა შუა საუკუნეების ქართული და სომხური არქიტექტურის საკითხში. მან მშვენივრად აჩვენა, რომ მსგავსებასთან ერთად არის განსხვავებაც. უბრალოდ, დღეს სომხებს პოლიტიკური მიზანი აქვთ: რაც შეიძლება მეტად დაასაბუთონ თავიანთი პრეტენზიები იმ მიწებზე, სადაც ესა თუ ის არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს.

**შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია აზერბაიჯანელი და ქართველი მეცნიერების კოოპერაციის შესაძლებლობა ორივე მხარისთვის საზიანო სომხური საფრთხის გასანეიტრალებლად?**

**გიულჩოხრა მამედოვა:** სომხების პრეტენზიების გასანეიტრალებლად აზერბაიჯანელმა და ქართველმა მეცნიერებმა ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ. რადგან ჩვენი პატარა რეგიონი არქიტექტურული ძეგლებით ძალიან მდიდარია, მე მესმის, რომ ჩვენს შორისაც შეიძლება რაღაც დავა არსებობდეს რომელიმე კულტურის ძეგლის მიმართ. ვიცით, რომ ძველ დროში სახელმწიფო საზღვრები ისეთი მკვეთრი და ნათელი არ იყო, როგორც დღესაა. არის ძეგლები სასაზღვრო ადგილებში, რომლებზე კულტურათა ურთიერთგავლენაა ასახული. ადამიანებს და ხალხებს შორის კავშირი ყველა დროსა და ყველა ეპოქაში იყო, რაც არქიტექტურის ძეგლებზეც გამოიხატა. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავერთიანდეთ კიდეც იმისთვის, რომ ყოველი ძეგლის მიმართ სრულიად დასაბუთებული და ობიექტური მეცნიერული აზრი იყოს მოცემული. 21-ე საუკუნეში სომხებმა, ისევე როგორც ასი წლის წინათ, უნდა შეწყვიტონ თავიანთი აბსურდული პრეტენზიები მეზობელი ხალხების მიმართ".

**ფუად ჰუსეინ-ზადე,**
**«Интерфакс-Азербайджан» (აზერბაიჯანი),**
**16 იანვარი, 2015 წელი**

# სოდომია – ვაშინგტონის დიადი გამარჯვება




აშშ თუ რუსეთი? – არც აშშ, არც რუსეთი! – მსგავსი განცხადებები ხშირად გვსმენია პოლიტიკოსთა მხრიდან, რაც, უკეთეს შემთხვევაში, უცოდინარობის ბრალია, ხოლო უარესში – ურაპატრიოტიზმის, უსინდისო პოპულიზმის. აშშ თუ რუსეთი? – ამ დილემაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

რაც შეეხება თეზისს **"არც აშშ და არც რუსეთი!"**, უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი ფუფუნების უფლება საქართველოს, სულ რაღაც, 120 წლის განმავლობაში (დავით აღმაშენებლიდან, ვიდრე თამარ მეფემდე) ჰქონდა, როდესაც აქეთ მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერიის და იქით მუსლიმან ბარბაროსთათვის ჭკუის უკითხავად წარვმართავდით საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. ეს ოქროს ხანა მალე დასრულდა და, თუ თითო-ოროლა ეპიზოდურ გამონათებას არ ჩავთვლით, ფიზიკური გადარჩენისთვის ვიბრძოდით ხან სპარსეთის, ხან არაბ სარკინოზთა, ხან თურქ-სელჯუკთა თუ სხვა გადამთიელი ბარბაროსების წინააღმდეგ.

ეს ვრცელი ისტორიული ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რომ ყველას შევახსენო: დღესაც ბრძოლაა გაჩაღებული აგრესიულ ლიბერალიზმად წოდებულ ნეოტროცკიზმთან, ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა, რადგან ამ ბრძოლის შედეგით გადაწყდება – ვიარსებებთ თუ არა, როგორც ერი, თუ ზნეობამორღვეულთა გლობალურ ნახირში გავერევით.

აგრესიული ნეოლიბერალიზმი დაფუძნებულია ხუთ არაზე: არა – სამშობლო, არა – ეროვნება, არა – ღმერთი, არა – ოჯახი და არა – სქესი!..

ეს თეზისები გასული საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა კავშირშიც ინერგებოდა იმ პერიოდის ლიბერალების მიერ ლევ ტროცკის მეთაურობით და ამიტომ თანამედროვე ლიბერალებს ნეოტროცკისტებადაც მოიხსენიებენ...

20-ანი წლების ტროცკისტების თარეშს სამანი **"სისხლისმსმელმა"** სტალინის გენიამ დაუდო!

სწორედ სტალინის მმართველობის პერიოდში განახლდა ლენინ-ტროცკის მიერ დახურულ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება, რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდა პატრიარქის ინსტიტუტი, საქართველოს ეკლესიას – ავტოკეფალია, ღვთივბოძებული შინაარსი დაიბრუნა სამშობლოს ცნებამ, საბჭოთა მოქალაქეთა პასპორტებში გაჩნდა ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, ოჯახის ინსტიტუტი გამოცხადდა საბჭოთა წყობის (გნებავთ – რეჟიმის) ქვაკუთხედად, ხოლო მამათმავლობა – სისხლის სამართლის დანაშაულად.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, განსაკუთრებით ამ ომში გამარჯვების მთავარი შემოქმედის, გენერალისიმუს სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო დასავლეთმა (წაიკითხე – აშშ) ე.წ. ცივი ომი საბჭოეთის წინააღმდეგ, რაც მათი გავლენის აგენტის – გორბაჩოვის მეცადინეობით საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა.

ამ ომის იდეოლოგია ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვას ემყარებოდა, რომელიც გულისხმობდა, პირველ რიგში, სიტყვის, პრესის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საჯარო შეკრებების თავისუფლებას და ა.შ.

დასავლეთის რადიოსადგურების მიერ გადმოყრილი ეს პროპაგანდისტული საკენკი სწორედ ჩემმა თაობამ აკენკა და სწორედ ჩემი თაობის ხელით დაანგრიეს, როგორც დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა, სოციალურად ყველაზე სამართლიანი ზესახელმწიფო, რომლის სამართალმემკვიდრე ეკონომიკურად განადგურებული, დემორალიზებული რუსეთი გახდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მრავალი დამცირება, აბუჩად აგდება გადაიტანა ელცინის დროს გაძარცვულ-გაფარჩაკებულმა რუსეთმა და, როდესაც ამერიკას რუსეთის თემა **"აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე"** დახურული ეგონა, როგორც არა ერთხელ ყოფილა რუსეთის ისტორიაში, რუსეთი სასწაულებრივ, ფენიქსივით აღდგა და ამ სასწაულის შემოქმედი არის ვლადიმერ პუტინი.

დღეს კი ისტორია ჩვენ თვალწინ მეორდება:

ისევ ადამიანის უფლებების კომუფლაჟით ამერიკული **"დემოკრატიის ექსპორტი"** ე.წ. ფერადი რევოლუციების მეშვეობით ჯერ იუგოსლავიაში, შემდეგ – საქართველოსა და უკრაინაში, მერე – ე.წ. არაბული გაზაფხული და შედეგად **"ისლამური სახელმწიფო"**, დაშლილ-დაქუცმაცებული იუგოსლავია, უკრაინა, საქართველო...

ადამიანის იმ უფლებებს შორის, რომელთაც აშშ საბჭოეთში **"იცავდა"** და ამ უფლებებს შორის, რომელთა დაცვასაც აშშ ახლა რუსეთში ცდილობს, განსხვავება არის ის, რომ დღეს ე.წ. ადამიანის უფლებებში, უპირველესად, ლგბტ თემის უფლებები, ანუ საჯდომის თავისუფლება – **ᲓᲔᲛᲝᲢᲠᲐᲙᲘᲐ** იგულისხმება!

ამის ნათელი დასტურია ის, რაც 26 ივნისს ამერიკაში მოხდა!

გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რომლებიც წინ უძღვოდა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს **"ისტორიულ"** ვერდიქტს, რომლის ძალითაც ერთსქესიანი ქორწინებები ყველაზე მძლავრი ზესახელმწიფოს ყველა შტატში დაკანონდა და რომელსაც ობამამ, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის დემოკრატიის გამარჯვება უწოდა.

ბარაკ ჰუსეინ ობამას გაპრეზიდენტებისას აშშ-ის მხოლოდ 6 თუ 7 შტატში იყო აღრიცხული მსგავსი **"გამარჯვება"...**

აქედან გამომდინარე განაცხადა აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი მსოფლიოში **ლგბტ** უფლებების დაცვა იქნებაო და ბარაკმაც კვერი დაუკრა!

ჰოდა, შედეგიც უკვე ჩანს – მას შემდეგ ბევრი ევროპული სახელმწიფო გაბედნიერდა მსგავსი გამარჯვებით და აგერ, ახლა აშშ-ში მსოფლიო დემოკრატიის სიმბოლო – თეთრი სახლი – **ლგბტ** ფერებში შეღებეს, რომლის ფონზეც ვიხილეთ ახალგაზრდა თუ ბებერი პედერასტების გულის ამრევი მტლაშამტლუში, ხოლო აშშ-ის დღევანდელმა სახმდივანმა ჯონ კერიმ პირობა დადო, რომ მოკლე ხანში სრულიად მსოფლიო იზეიმებს კაცობრიობის არნახულ პროგრესს!

**"ამერიკული დემოტრაკიის გამარჯვება"** რომ არა, წინამდებარე წერილში ვაპირებდი საუბარს დილემაზე – რუსეთი თუ ამერიკა? და ამ საკითხის განხილვას საქართველოსთვის მისაღებ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში, მაგრამ...

რადგან **"ამერიკული დემოტრაკიის გამარჯვების"** ფონზე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა არგუმენტმა ფასი დაკარგა და კითხვა – ამერიკა თუ რუსეთი? – პირადად ჩემთვის დღეიდან მხოლოდ ზნეობრივ კონტექსტში განიხილება, რადგან მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელსაც ჯონ კერი ტოტალური ლგბტ-ზაციით დაემუქრა, არის ჩემი სამშობლოც – აშშ-ის მიერ გაფარჩაკებული სატელიტი. და ალბათ, საქართველოსაც (რომლის ხელისუფლებაც თავის მოსახლეობას აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეობის უტოპიით ატყუებს) აიძულებენ **"დემოტრაკიის"** ამ **"დიადი გამარჯვების"** გაზიარებას.

**ᲓᲔᲛᲝᲢᲠᲐᲙᲘᲐ** – უკეთესად, ალბათ, შეუძლებელია **"ამერიკის გამარჯვების"** შეფასება...

ჯონ კერის დანაპირების ინტერპრეტაცია ასეც შეიძლება – ვინც ჩვენთან არ არის (ანუ არ არის დემოტრაკი, არ არის პედერასტი) ჩვენი მტერია!

განსაკუთრებული პოლიტკორექტულობით არ გამოვირჩევი, ამიტომ, სხვა უფრო მძიმე ტერმინი რომ არ წამომცდეს, დღეიდან საქართველოში მოქმედ პროამერიკულ ძალებს დემოტრაკებად მოვიხსენიებ. უფრო მძიმე ტერმინში პედერასტები ვიგულისხმე, თუმცა მას შემდეგ, რაც მათმა ბელადმა ბარაკ ობამამ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება **"ამერიკის გამარჯვებად"** გამოაცხადა, ხელისბიჭ ალასანიას, რესპუბლიკელებს, **"ნაცებს"**, ახლებს, პერსონალურად ირაკლი წერეთელს, ისევე, როგორც ქართველ **ლგბტ** თემს, პედერასტად ან დემოტრაკად მოხსენიება კი არ უნდა ეწყინოთ, პირიქით – პატივად უნდა ჩათვალონ.

ვისაც მაინც ეწყინება, სანუგეშოდ 1767 წელს ანტონ კათალიკოსის ეპისტოლეზე მეფე ერეკლეს მინაწერს მოვიყვან, რათა ყველა დემოტრაკმა და პედერასტმა დიად ბარაკ ჰუსეინს ლიტანიით შესწიროს მადლობა, რომ ერეკლეს ზეობის ხანაში არ უცხოვრიათ:

**"ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთისმოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილადა არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს – ან მომწამლელნი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა – დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება – დ.მ.) დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ".**

წყარო: კორნელი კეკელიძე, **"ქართული ლიტერატურის ისტორია"**, ტომი 1, თავი – კანონიკა, გვერდი 522.

ეს ისე, მცირე ლირიკულ-იუმორისტული გადახვევა და ახლა სერიოზულად განვაგრძოთ...

მსოფლიოში შექმნილ ამ ტრაგიკომიკურ ფონზე ერთადერთი სახელმწიფოა რუსეთი, რომელსაც კანონით აქვს აკრძალული საკუთარ ტერიტორიაზე გეიაღლუმები და რუს პედერასტებს ერთსქესიანთა ქორწინებაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ! თანაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფო პრაქტიკულად ერთი და იგივეა. მართლმადიდებლობა, რომელიც უპირველესი მოწინააღმდეგეა სოდომის ცოდვის მთელ მსოფლიოში დაკანონებისა!

დღეს მსოფლიოს მართლმადიდებლობის ბურჯი არის რუსეთის ზესახელმწიფო, რომელსაც ბირთვული პოტენციალიც იცავს და, თუ ჯონ კერი შეეცდება დაპირების აღსრულებას, რომლისთვისაც ვატიკანის სიმბოლური წინააღმდეგობის დაძლევას ადვილად შეძლებს, მართლმადიდებლობას ცუდუბრალოდ ბუზსაც ვერავინ აუფრენს!

## მაშ, ამერიკა თუ რუსეთი?

არჩევანი მარტივია:

ან დემოტრაკია და შედეგად ქართველი ერის ლგბტ-ზაციის რეალური საფრთხე, ან ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ მენტალობის შენარჩუნება და, როცა იქნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი!

დასასრულ, დიდი ქართველი მამულიშვილის, წმინდა ილია მართლის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილიდან **"ასის წლის წინათ"** მოვიყვან ფინალურ პასაჟს. წერილიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძემ 1899 წელს დაწერა და რომელიც საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა:

**"ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისაჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადდა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.**

**დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ".**

ამას წერს კაცი, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცოდა ყოველივე სიავენი, რომელიც რუსეთის იმპერიაში მყოფ საქართველოს შეხვდა, მაგრამ 100 წლის შემდეგ აწონა რა ისტორიის სასწორზე ბოროტება და სიკეთე, ავი და კარგი რუსეთთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა, ბოროტება სიკეთემ გადაწონა, ავი – კარგმა!

მთავარი სიკეთე კი იყო ის, რომ რუსეთის იმპერიაში გვქონდა სამშობლო და ეროვნული თვითმყოფადობა!..

ახლა, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქართველმა ერმა თვითონ განსაჯოს, რა სჯობს – გაპედერასტებულ ამერიკელ დემოტრაკებთან ეფემერული სტრატეგიული მოკავშირეობა და უეჭველი გადაგვარება, გახლისტება, საქართველოს კიდევ უფროდაშლა-დაქუცმაცება თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ ევრაზიულ სივრცეში სამშობლოს, მართლმადიდებლობის, ღირსების შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივა.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ჩვენთვის ყველა ქულას აქვს ოქროს ფასი



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენცია გამართა და ბოლო ორი სანაკრებო მატჩი (უკრაინასა და პოლონეთთან) შეაფასა. გარდა ამისა, ეროვნული გუნდის დამრიგებელმა სხვა არაერთ საინტერესო საკითხზეც ილაპარაკა...

– თავდაპირველად, საქართველოს ეროვნული ნაკრების სახელით მსურს, სამძიმარი ვუთხრა თბილისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრებს. უნდა გითხრათ ისიც, რომ ველაპარაკე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს და ისინი მზად არიან, საკმაოდ სოლიდური თანხით დაუდგნენ გვერდით სტიქიით დაზარალებულებს... ახლა გადავალ ბოლო ორი მატჩის ანალიზზე. დავიწყებ ყველაზე უსიამოვნოთი. ის, რაც მოხდა პოლონეთთან შეხვედრის ბოლო ოთხ წუთში, ეს იყო წარმოუდგენელი და ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. მომხდარში საკუთარ თავს ვადანაშაულებ. როცა მეორე გოლი გავუშვით, დავჯექი. არ უნდა დავმჯდარიყავი. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა სწორედ მაშინ ჩათვალეს, რომ ყველაფერი დასრულდა...

მას შემდეგ, რაც პოლონეთის ნაკრები მინიმალური ანგარიშით დაწინაურდა, 25 წუთის განმავლობაში სერიოზული ფეხბურთი ვითამაშეთ. აღმოჩნდა, რომ მეორე გოლმა გაგვტეხა. ეს ევროპელს არასოდეს არ მოუვა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – მე არ გავურბივარ პასუხისმგებლობას. არ უნდა დავმჯდარიყავი!..

ჩვენ ბევრი გვაქვს სამუშაო იმაზე, რომ ბოლომდე შევინარჩუნოთ კონცენტრაცია...

ყველანაირად გავარჩიე უკრაინასა და პოლონეთთან მატჩები. აღსანიშნავია, რომ უკრაინასთან თითქმის ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელში უპირატესობა გვაქვს. მაგალითად, კარისკენ 15-ჯერ დავარტყით. თუ ამ ორ შეხვედრას გავამთლიანებთ, ვნახავთ, რომ საქართველოს ნაკრებმა 1070 თუ 1080 ეფექტური გადაცემა გააკეთა...

თუ უფრო დეტალურად ჩავუღრმავდებით, უკრაინასთან მატჩის პირველი ტაიმი შესანიშნავად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში განვახორციელეთ დაგეგმილი შეცვლები და ამან ტაიმის დასაწყისში ცოტა არია თამაში...

ორი გაშვებული გოლის შემდეგ სულ სხვა თამაში წავიდა. ჩვენი მხრიდან ხშირი იყო კარში დარტყმები და ბურთიც ჩვენი იყო. ამან მოიტანა რწმენა, რომ შეგვიძლია პირველ ნომრად თამაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია... პოლონეთთან შეხვედრას რაც შეეხება, პირველი 25 წუთი ჩავაგდეთ. რომ არა ლორიას ორი "სეივი" და ამისულაშვილის თავგანწირული თამაში, რომელმაც ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, ანგარიში სხვა იქნებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ პოლონეთთან მატჩში აქტიურები იყვნენ ჩვენი გუნდის მარჯვენა და მარცხენა მცველები...

უკრაინასთან 27 ფლანგური გადაცემა შესრულდა, პოლონეთთან – 20. ვარშავაში იყო ბოლო, გამამწვავებელი პასების ნაკლებობა და ამაზე აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ...

ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ, ვქმნით ახალ თამაშს და ამ პროცესში შეიმჩნევა ბევრი პოზიტივი. მესმის, რომ ქომაგს აინტერესებს შედეგი. თავის მხრივ, ის მართალია და გჯერა, შედეგიც გვექნება...

როცა გამოქვეყნდა სანაკრებო სია, იმთავითვე გაისმა კითხვები ამასთან დაკავშირებით - დიახ, ჩვენ ძველი ნაკრებიდანაც ვუხმეთ ფეხბურთელებს. ეს იმიტომ, რომ გაგვერკვია, ვინ შეიძლება გამოგვადგეს ახალი გუნდის მშენებლობის პროცესში და ვინ – არა... ამასთან ერთად, მინდა ვთქვა ისიც, რომ ეროვნული ნაკრების სრულფასოვანი წევრები არიან მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი და ლაშა დვალი. ჩემი აზრით, აუცილებელია, კოორდინირებულად ვიმუშაოთ ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან, რადგან ამ ბიჭებს მხოლოდ ვარჯიში კი არა, სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ.

**– ჩვენი აზრით, საქართველოს ნაკრებში თვალსაჩინოა მარჯვენა მცველის პრობლემა. რას იტყვით ამაზე?**

– მოდით, ნუ ვიტყვით ასე... მე მიმაჩნია, რომ უჩა ლობჯანიძემ პოლონეთთან საკმაოდ კარგად ითამაშა. სხვა საქმეა, რომ მხოლოდ მას ვერ დავეყრდნობით. არჩილ არველაძესთან ერთად ვისაუბრეთ ამ თემაზე და უნდა შეიქმნას სია, რომელშიც რამდენიმე ფეხბურთელი გვეყოლება მოაზრებული ერთ პოზიციაზე... ავიღოთ თუნდაც მარცხენა მცველის პოზიცია. აქ გვყავს გიორგი ნავალოვსკი და გვყავს გია გრიგალავა. ჩვენ გრიგალავასაც მოვიაზრებთ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად. თუმცა ჯერ მასთან ვერ დავამყარეთ კონტაქტი...

საერთოდ, ავსტრიულმა შეკრებამ საკმაოდ ბევრი რამ გამოაჩინა. მაგალითად, ჩვენ ვნახეთ, რომ გოგიტა გოგუას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში, მათ შორის, საყრდენის პოზიციაზეც და ეს ძალიან კარგია. გოგუათი კმაყოფილი დავრჩი, ოღონდ, ეგ იყო, რომ ბოლოს ჰემატომა აღმოაჩნდა, კუნთი გაუწყდა...

იგივე ცინცაძე ავიღოთ. მას ყველანაირი პირობა აქვს, რომ იქცეს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად. სხვა საქმეა, როცა ფეხბურთელს ვარჯიშზე უყურებ. იქ მას სხვანაირად აფასებ. კმაყოფილი დავრჩი ცინცაძით და იმავე პაპუნაშვილითაც. ნაკრების კანდიდატად შეგვიძლია მოვიაზროთ აგრეთვე ნიკა კაჭარავა...

ცინცაძის შეშვება მინდოდა პოლონეთთან მატჩში, მაგრამ მაინც გადავიფიქრე. ძალიან სათუთი თემაა... ახალგაზრდა ფეხბურთელი, ასეთი თამაში...

**– რამდენად გაამართლა თქვენ მიერ არჩეულმა ტაქტიკურმა სქემამ?**

– ამ სქემას სჭირდება ერთი რამ – სამი ცენტრალური მცველის წინ უნდა იყოს ერთი ფეხბურთელი. მეორე ტაიმში მინდორზე ბუბა დაუშვილი შევუშვით და იმ ბოლო ოთხ წუთამდე ყველაფერი იყო კარგად...

ჩვენ ბევრს ვმუშაობთ პრესინგზე, მის ნაირსახეობაზე... მაგალითად, ეგრეთ წოდებულ **"მეორე პრესინგზე"**. სწორედ ამის შედეგად აართვა ბურთი მეტოქეს ჯანო ანანიძემ და გადააწოდა გიორგი ნავალოვსკის, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა...

არ მოვერიდებით ცვლილებებსაც. მაგალითად, სერიოზულ თამაშში სანდრო კობახიძეს აღარ დავაყენებთ საყრდენის პოზიციაზე. მას სხვა ადგილს შევურჩევთ.

**– ლუკას ჰუფნაგელი "ფრაიბურგში" გადავიდა, აკაკი გოგია – "ბრენტფორდში". ვიცით, რომ როლანდ გიგოლაევსაც აკვირდებით...**

– ჩვენ გვახარებს ჰუფნაგელის პროგრესი და ის, რომ ასეთ ძლიერ გუნდში გადავიდა. ასევე ისიც, რომ აკაკი გოგია ითამაშებს ინგლისის ჩემპიონშიფში. გოგიას აუცილებლად დავუძახებთ საქართველოს ნაკრებში. რაც შეეხება გიგოლაევს, მას ჩვენ მოვიაზრებთ მარცხენა მცველის პოზიციაზე და ჯერჯერობით ვაკვირდებით. მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე კი გვყავს უფრო კვალიფიციური მოთამაშეები. ასე რომ, შანსი ყველა მოთამაშეს ექნება...

**– ადრე საქართველოს ნაკრებში სულ იყო კონფლიქტები. ამ შემთხვევაში როგორაა? მოგყვებათ გუნდი?**

– საერთოდ, არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც სკამზე ჯდომით კმაყოფილი იქნება. ინდივიდუალური საუბრებითა თუ მიდგომით შევძელით, რომ დღეს გუნდში კარგი კლიმატია...

ერთი ვარჯიში იყო მხოლოდ ავსტრიულ შეკრებაზე, რომელიც ჩავარდა, ბიჭებმა ვერ შეასრულეს დავალებები... მერე მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს, ასეთი რამ აღარ განმეორდება, ეს დღე დავივიწყოთო. მეორე დღეს ჩვენ ჩავატარეთ ფანტასტიკური ვარჯიში...

ახლა ჩვენს ფეხბურთელებს აღარ აქვთ გაყინული თვალები, ეს თვალები ბრძოლის ჟინითაა ანთებული... პირადად ჩავაწერინე კონტრაქტში ის პუნქტი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა უნდა დაიკავოს მინიმუმ მესამე ადგილი. მე მჯერა, რომ ჩვენს ნაკრებს ამის ძალა შესწევს.

ჩვენ ვუმატებთ. ჯერ შედეგი არ არის, მაგრამ თუნდაც შეტევაში ლაგდება თამაში. მალტა "დავახრჩვეთ". ლამაზი ფეხბურთით არ მოგვიგია, მაგრამ ახლა შედარებით დალაგებულია შეტევაში თამაში.

**– მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრისას საქართველოს ნაკრები მეექვსე კალათაში იქნება. ეს საქმეს ართულებს...**

– რა თქმა უნდა... ჩვენთვის ყველა ქულას აქვს ოქროს ფასი. ამიტომ, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რომ ევროშესარჩევი ციკლის დარჩენილი მატჩები შედეგიანად ჩავატაროთ.

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

– ნაზიკია, მაჩუქე შენი სურათი, რა იქნება! – ეხვეწება რეზიკია.

– რად გინდა, ბიჭო, ჩემი სურათი? – გაინაზა ქალი.

– შტეფსელთან მივაკრავ, ბაღნები დენთან რომ არ მივიდნენ!

* * *

ორ სომეხს ქართველობა მოუნდა და იკითხეს როგორ უნდა გამხდარიყვნენ.. ქართველები "გაეკაიფნენ" და უთხრეს რომ ადიდებული მტკვარი უნდა გადაეცურათ ამისთვის. ბევრი წვალების შემდეგ ერთ-ერთმა მიაღწია ნაპირს და ავიდა, მეორე იხრჩობოდა და ყვირილით დახმარება სთხოვა მომეშველეო. პირველმა სომეხმა კი უპასუხა:

– წადი, შენი სომეხი დედაც...

* * *

ბაბუა უყვება შვილიშვილს:

– ომის დროს გერმანელებმა ტყვედ შეგვიპყრეს და გვითხრეს: აირჩიეთ, ან მოგკლავთ ან გაგაუპატიურებთო.

– მერე შენ რა გიქნეს ბაბუ? – ეკითხება შვილიშვილი.

– მე მომკლეს ბაბუ. პასუხობს ბაბუა.

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**



დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge